# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უსინდისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ხუთშაბათი, 6 ოქტომბერი, 2011 წელი.

№186 (6817)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ევროკავშირში გასაწევრებლად გრძელი გზა გვაქვს გასავლელი და მთავრობამ საზოგადოებას ეს არ უნდა დაუმალოს ③

## აფხაზური და ოსური ენები კვდება ③

## უზნეობის ნეხვში თავჩარგული ②

გელა ზედელაშვილს – სუპერსენსაციურს, სუპერბოლმიანს...

ქვეყნის ქრონიკა

## ევროკავშირი, საქართველო და სარკოზი ⑤



## „მრაზიის კავშირის" შექმნის შესახებ პუტინის ინიციატივა სსრკ-ის აღორძინების მორიგი ცდაა" ④

## ფასებს ⑤ ანტიმონოპოლიური „ხუნდები" სჭირდება

## შული ⑧ საცალოდ და ცალ-ცალკე

ხელისუფლებამ მოისმინა ეროვნული საკითხი. რას უპასუხებს?



## ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პარტიას ქმნის

– მე გადავწყვიტე შევქმნა პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მივიღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, – ეს ამონარიდი ბიძინა ივანიშვილის განცხადებიდან „ქართუ ჯგუფის" პრესსამსახურმა გაავრცელა.

– მთლიან ტექსტს გაეცნობით ორი დღის შემდეგ, 7 ოქტომბერს, – ნათქვამია განცხადებაში.

იხ. 2 გვ.


⑨

## ორჯერ ორმოცი წლის ჯანსუღ ჩარკვიანს!..



საქართველოს ისტორიაში მრავალჯერ ყოფილა ჟამი მწუხრისა, მაგრამ მღეროდა ქართველი – „არცა იხაროს მტერმა ჩვენზედა, არცარა გაუხარია"-ო; აშენდება და იცავდა ღირსეულ ქვეყანას.

შენ, ჩემო ჯანსუღ, ამ ქვეყნის ის ჭეშმარიტი შვილი ხარ, დღემდე ლაღად რომ უმღერი საქართველოს, ქართველთა ღირსებისა და სულიერების შემბღალველს მახვილივით მჭრელ სიტყვას რომ ახვედრებ. შენი ვაჟკაცური პოეზია ქართველ ხალხს მხნეობას მატებს და შთააგონებს სიყვარულს, რწმენასა და ღირსებას. ჭირში თუ ლხინში მოყვასის გვერდში მყოფი ხარ. ეს მე თავად მიგრძნია და განმიცდია. ჭაბუკივით შემართული ხარ დღემდე და მწამს, ოთხმოცი წელი ვერაფერს დაგაკლებს; როგორც ბოლოს თავად ამბობ:

მე ვარ
ჯანსული,
გათავდა,
მორჩა!

ოთხმოცი წლის თამადა უფრო მძაფრად დალოცავს საქართველოს! დიდხანს იცოცხლე, ჩემო ჯანსუღ, იყავი მტკიცე, როგორც სალი კლდე, ზღვის ტალღებს რომ შხეფებად აქცევს!

სიყვარულით
მერაბ ბერძენიშვილი


ჩვენო ძვირფასო მაღალგემოვნებიანო მკითხველო, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას" ენდობი

მიდი, ჯიხურში ყოველდღე
ჩვენი გაზეთი იკითხე,
თუ ჭურში ჯდომა არ გინდა,
შეიძინე და იკითხე!..

ხოლო გამოწერა
თვეში სულ
10 ლარი
დაგიჯდება, სამაგიეროდ
ყოველ დილით
ცინცხალ ნომერს მიიღებ!..

# უზნეობის ნეხვში თავჩარგული

კვირის ქრონიკა

## გელა ზედელაშვილს - სუპერსენსაციურს, სუპერბოლმიანს...

ოთხმოცდაცამეტი წლის (დაარსებულია 1918 წელს!) გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ლოგოს, ანუ დედასათაურის გვერდით გამოკვეთილად აწერია დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია“.

რადგანაც „ალია“ — „კვირის ქრონიკის“ კარგა ხნის შეჭალარავებული, „ნორჩი“, ჟურნალისტიკას მიტმასნილი ვიღაც გელა ზედელაშვილი საგაზეთო ბაზარზე დამკვიდრებისთვის ბოლო წლებში ყველაზე უსაძაგლეს ხერხს მიმართავს და საცოდავ მკითხველს ტყუილებითა და ჭორებით ჭყიპავს, იძულებული ვარ, ეს მწარე ბარათი ვაახლო.

ჩემო „უძვირფასესო“ უმცროსო კოლეგავ! (თუმცალა, შენზე, დიდი-დიდი ხუთი წლით უფროსი ვიქნები... ზნეობრივად და სულიერად კი შენზე ბევრად ჯანსალად გამოვიყურები!), გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ და მის შემქმნელებს ცინიკურად რომ მოიხსენიებ („ბებერი სასტავი“, „გაზეთი სულ სამი ცალი გამოდის“, „არ იციან ვისი ვისსაშია“...), არა გრცხვენია?

თუმცალა, გელა ზედელაშვილი და სირცხვილის გრძნობა ერთად ვერ ძოვენ, ვერც ვერასდროს მოძოვენ! მაინც, ვინ გასწავლა, შე უბედურო, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ სამი ცალი გამოდის? გაზეთს მარტოოდენ ხელისმომწერი

**მკითხველმა უნდა იცოდეს: ბოლო ხანს ჩვენი გაზეთის ფურცებზე რამდენჯერმე ვუპასუხეთ გელა ზედელაშვილის ბინძურ გამოხდომებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ჩვენ „ქორფა“ ავტორს ქრონიკული ბოდმიანობა სჭირს და ამჯერადაც უსინდისოდ გადმოანთხია ბესლი.**

ჰყავს 1500-ზე მეტი და საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქში ყოველდღიურად ვრცელდება. საცალო ქსელში კი პროცენტულად მაინც ყველაზე მეტი იყიდება, ელექტრონულ ქსელში, ანუ ინტერნეტში გაზეთის მომხმარებელთა რიცხვი კარგა ხანია სარეკორდოა და მთელ მსოფლიოში ასი ათასს აჭარბებს! ეს ისე, ჩვენი გონიერი მკითხველისთვის.

„ბიჭო“ გელა, განა შეიძლება ისეთი „ბაგაჟის“, უდღეური ლექსიკის მქონე და ელემენტარული გრამატიკული ნორმების არმცოდნე ჟურნალისტი, როგორიც შენა ხარ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტებზე, აღიარებულ პუბლიცისტებზე, მწერლებზე, მთარგმნელებზე, რეპორტიორებზე ქილიკით ლაპარაკობდეს და მათ „ბებერ სასტავს“ უწოდებდეს?

შე მართლა ციციკორეს ლიფსიტა შთამომავალო, მაინც ვინ გაგამწესა ყველას და ყველაფრის განმსჯელ მოსამართლედ? ნუთუ ბრძენ კახელებში ის მაინც არ გაგიგონია, რომ ჭკუა თავშია და არა ხანში?

ჟურნალისტი თამამი უნდა იყოს, მაგრამ ეს ტყუილებსა და სკანდალზე დამყარებული, თავხედობაში გადაზრდილი სითამამე რომ შენი ცოდვების ბედის თანამგზავრად აგირჩევია, ნუთუ აქამომდე არავინ გამოჩნდა, რომ კარგა მაგრად შემოგილაწუნოს და გამოგაფხიზლოს?..

....გელა ზედელაშვილის მსგავსმა „ჟურნალისტებმა“ ჩვენი გაუბედურებული ქვეყნის „სკანდალურ-სენსაციური“ ყოველდღიურობა ხომ გამოამზეურეთ, დედაეკლესიის პრობლემები ხომ მოაგვარეთ (მართლაცდა, ვაი თქვენს პატრონს!), ახლა უფროს კოლეგებსაც მოსდექით და ყველას და ყველაფერს ვითომ აბუჩად იგდებთ... მიშიკომ გასწავლათ ქართული გვარიშვილობის, მამა-პაპათა ტრადიციების, თაობებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის შებღალვა-შებილწვა?

გაგიკვირდება, და... „ძვირფასო“ გელა, სწორედ სხვადასხვა თაობის მუსიკოს-შემსრულებელთა გაერთიანების, ლეგენდარულ ქართველ მომღერალთა და ლოტბართა უნიკალური მემკვიდრეობის ახალგაზრდებისთვის გასაცნობად, საზღვარგარეთ გადახვეწილ ქართველ ხელოვანთა საქართველოში დასაბრუნებლად (დაბრუნების სურვილის გასაძლიერებლად) და დღევანდელი ქართული ფოლკლორული ანსამბლების გასაჯიბრებლად დაარსდა ხობის ფესტივალი. მე სამეგრელოს ამ რაიონში გამართული ხუთივე საერთო-სახალხო ზეიმის მონაწილე ვარ და კარგად ვიცი ფესტივალის ავ-კარგი.

რა „სენსაციებს“ ეძებ, რას კრიტიკანობ, რა იყო დომხალი იმ ფესტივალზე, რომელსაც არასდროს არ დასწრებიხარ? რად გახარებს, თუ ერთი განაწყენებული მომღერალი (თუნდაც ათი იყოს!) იზოლდა ფიფია, გაუწონასწორებელი დედაკაცივით ილანძღება და წლევანდელ ფესტივალს საშინელებას უწოდებს? „კელაპტარი“ და მისი ერთ-ერთი მგალობელი მაფშალია, მართლაც მშვენიერი მომღერალი იზოლდა ფიფია როცა მონაწილეობდა ფესტივალში, მაშინ ხომ კარგი იყო?.. რა თქმა უნდა, მაშინაც კარგი იყო და ახლაც, მაგრამ წლეულს უფრო გრანდიოზული, სახალხო (ხობის სტადიონზე გამართულ გალაკონცერტს 30 000 კაცი ესწრებოდა!).

თუმცალა, რა უნდა მოჰკითხო, ბიჭო გელა, იმ ქალბატონს, რომელმაც შენსავით არ იცის, რომ ფესტივალის ერთ-ერთი სამხატვრო ხელმძღვანელი, სანთელივით წმინდა და მართალი კაცი, ჭეშმარიტად სახალხო არტისტი, მომღერალი და ლოტბარი ანზორ ერქომაიშვილი როცა განმარტავს — „ანსამბლი „რუსთავი“ პროგრამის გადატვირთვის გამო არ წავიყვანე, მაგრამ არავის სწყენიაო“, „ფესტივალს ორგანიზატორები ჰყავდა და როგორც უნდოდათ ისე მოიქცეოდნენო“... ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ირწმუნოთ, რომ ასეთ მასშტაბურ ფესტივალზე „სენსაციურ-სკანდალური“ არაფერი ყოფილა, მით უფრო დომხალი!

დომხალი ის არის, ბიჭო გელა, რაც შენს გაზეთში (გაზეთებში) ხდება — ტყუილი, ბოლმით სავსე, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიმართლმადიდებლური, უსაგნო ფართი-ფურთი და გაუგებარი ბოდიალი! ოღონდაც მკითხველი მოტყუვდეს, მთავარია სენსაციური სათაური, შიგ რა წერია, არავინ განსჯის!

მერე რა, რომ ქართული პრესის „ლიდერად“ თვლით თავს... უნივერსიტეტში მაინც არ გასწავლეს, რომ თავის ქება კიტრადაც არა ღირს...

ან ეს ბილწსიტყვაობა რა ჯანდაბაა, ეს არის ჟურნალისტიკა?!

ნუთუ თქვენ არასდროს გეყოლებათ ღირსეული მომკითხველი, რომ თვალხილულად დაინახოთ, სად გაქვთ „თავი შეყოფილი?“...

**სპარტაკ ქობულია**

P. S. მომღერალ იზოლდა ფიფიას ჩემი გვარი სამეგრელოში არ გაუგონია. არა უშავს რა... ამ წერილით კიდევ ერთხელ გავაგებინებ, მაგრამ, ბიჭო გელა, — ნუთუ საკუთარი ნაჯღაბნის გარდა არაფერს კითხულობ და სპარტაკ ქობულიას სახელი ერთხელაც არ გაგიგონია? შენ რომ ჟურნალისტური და კაცური ეთიკის რაიმე გაგეგებოდეს, იმას მაინც გაიხსენებდი, როცა „ოქროს ფრთის“ ლაურეატობა მოგილოცე, დიდი მადლობა გადამიხადე... ორი საათი გვერდიგვერდ ვისხედით „ქორთიარდ მერიოტის“ მშვენიერ დარბაზში)... კიდევ კარგი, რომ მე ასობით ნაღდ, ღირსეულ კახელს ვიცნობ და ვეთაყვანები კიდეც. ეს ის შემთხვევაა, როცა შენს მაგივრად მე მრცხვენია...

ს. ქ.

## ინფორმაცია

### რამაზ საყვარელიძე: ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში წასვლა მოულოდნელი არ ყოფილა

ექსპერტ რამაზ საყვარელიძის თქმით, ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკისკენ გადანაცვლება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ბოლო პერიოდში გავრცელდა ივანიშვილის წერილი, სადაც ის თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შეფასებას აკეთებდა.

„ბოლო ხანებში გავრცელდა მისი წერილი, რომელიც საზოგადოებამ პოლიტიკურ წერილადაც კი შეაფასა. ის იძლეოდა თანამედროვე პოლიტიკური პროცესების შეფასებას. ასე, რომ მისი პოლიტიკისკენ გადანცვლება მოულოდნელი არ არის. რაც შეეხება იმას, თუ როგორი შანსები აქვს და რამდენად რეალურია მისი ჩართვა პოლიტიკაში, ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება. ზოგადად პოლიტიკაში ბიზნესმენები იღბლიანები არ არიან ხოლმე, მათ შორის ამერიკაშიც. ამიტომ, იმის თქმა, რომ პოპულარული ადამიანი ქართულ პოლიტიკაში შედეგიანი აღმოჩნდეს, მე მგონი ნაადრევი იქნება„, - განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან„ საუბრისას საყვარელიძემ.

მისი თქმით, მნიშვნელოვანია თუ რა პოლიტიკურ გუნდს დაეყრდნობა ივანიშვილი საპარლამენტო არჩევნებში და როგორ ესახება მას საპარლამენტო საარჩევნო ბრძოლა.

### გია ხუხაშვილი: ბიძინა ივანიშვილის კართან რიგი დადგება

მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება, ქართულ პოლიტიკურ ჭაობში გამოცოცხლებას გამოიწვევს, — ამის შესახებ ექსპერტმა გია ხუხაშვილმა განაცხადა.

ხუხაშვილის აზრით, ივანიშვილს დიდი შესაძლებლობები აქვს იმისთვის, რომ თავდაყირა დააყენოს ქართული პოლიტიკური სინამდვილე.

— არ ვიცი, ვინ იქნება მის პარტიაში, მაგრამ ივანიშვილის კართან რიგი დადგება. მას კარს აუტალახებს პრაქტიკულად ყველა — აქტიური ინტელიგენცია, არასამთავრობო სექტორი და პოლიტიკოსები, — განაცხადა ხუხაშვილმა.

მისივე შეფასებით, ივანიშვილი ერთი მხრივ, შედის ძალიან სერიოზულ ბრძოლაში ხელისუფლებასთან, მაგრამ მეორე ფრონტი ექნება დანარჩენ საზოგადოებასთან.

### ზაზა ფირალიშვილი: მითოლოგიზებული ფიგურაა, რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია

ექსპერტი ზაზა ფირალიშვილი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვის გადაწყვეტილებას ბოლო დროს მის ირგვლივ არსებულ დაძაბულობებს უკავშირებს .

— ბოლო დროს იმდენი დაძაბულობა არსებობდა მის ირგვლივ, გასაკვირი არ არის, რომ მისცემოდა ცდუნებას, პოლიტიკაში მიეღო მონაწილეობა. აქამდე ის უფრო პასიური მეთვალყურის როლს სჯერდებოდა, — განაცხადა ფირალიშვილმა.

მან პოლიტიკაში ბიზნესმენის შესაძლო პერსექტივებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მის შესახებ წლების განმავლობაში შეიქმნა საფუძვლიანი თუ უსაფუძვლო ლეგენდების სისტემა, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს. მისივე თქმით, ივანიშვილი ამა თუ იმ მხარისთვის მითოლოგიზირებული ფიგურაა, რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

### სოსო ცინცაძე: იმდენად ჭკვიანი ადამიანია, რომ კრემლის თამაშში არ ჩაებმება

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური პარტიის შექმნის ინიციატივის უკან კრემლი არ დგას.

— ივანიშვილი იმდენად ჭკვიანი ადამიანია, რომ კრემლის თამაშში არ ჩაებმება. ესეთი რალაცეები არ იმალება, — განაცხადა ცინცაძემ.

მისი თქმით, ივანიშვილის ეს ნაბიჯი სარისკოა, რადგან პარტიის ჩამოსაყალიბებლად მას ძალიან ცოტა დრო აქვს.

— მისი გადაწყვეტილება არ მიმაჩნია პერსპექტიულად, რადგან ძალიან ცოტა დრო რჩება საპარლამენტო არჩევნებამდე პარტიის შესაქმნელად და ელექტორატის ასარჩევად, — აცხადებს სოსო ცინცაძე.

ჯი-ეიჩ-ენი

## ბრიფინგი

### ფილარმონიასთან საპირწონე აქცია გაიმართება

საფრანგეთის პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცეცხლის შეწყვეტის საქმეში. სარკოზი 7 ოქტომბერს საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს. ევროკავშირის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ქვეყნის საფრანგეთის პირველი პირის ვიზიტი, ჩვენი ქვეყნისთვის კიდევ ერთი მხარდაჭერაა. ამ მოვლენას ხელისუფლება და ოპოზიცია სხვადასხვაგვარად აფასებენ.

სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ არასამთავრობო ორგანიზაციები გამოეხმაურნენ საფრანგეთის პრეზიდენტის ჩამოსვლას. მიხეილ სააკაშვილს განზრახული აქვს ეს ვიზიტი წარმოაჩინოს, როგორც მისი ხელისუფლებისადმი მხარდაჭერაო, მეორეს მხრივ, კი თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ხალხი სტუმარს აჩვენოს, როგორც მისი კურსის მხარდამჭერიო.



გუშინ ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გამართულ ბრიფინგზე უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ განაცხადა, — 7 ოქტომბერს 4 საათზე ფილარმონიის წინ ვუხმობთ სამოქალაქო საზოგადოებას, ყველას, რათა სარკოზს ვაჩვენოთ, რომ საქართველოში ყველაფერი იდეალურად არ არის და მან უპირველესად ქართველ ხალხს უნდა დაუჭიროს მხარი.

შეხვედრას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, იურისტები და ქართული აკადემიის წევრები ესწრებოდნენ. ითქვა, რომ ისინი საფრანგეთის პრეზიდენტისადმი მიმართვას ამზადებენ ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე: პოლიტპატიმრებზე, სიტყვის თავისუფლების ხელყოფაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაზე და სხვა აქტუალურ საკითხებზე. დოკუმენტის ადრესატამდე მისვლას თავადვე უზრუნველყოფენ.

გავრცელდა ხმა, რომ სამინისტროებს დაავალეს რაიონული რგოლებიდან ადმინისტრაციული რესურსის მობილიზება. ბრიფინგის მონაწილეებმა განმარტეს, რომ ფილარმონიასთან გამართული აქცია საპირწონე იქნება იმ შეკრებისა, რომელიც იმავე დღეს ხელისუფლების ეგიდით გაიმართება თავისუფლების მოედანზე.

**გულნაზ გახარია**

SIC!

# აფხაზური და ოსური ენები კვდება

**აფხაზეთში საარჩევნო გაწამაწია და ჩავარდნილი საკურორტო სეზონი უკან დარჩა, კრემლმა ალექსანდრე ანქვაბის დანიშვნით გული დაიმშვიდა და იმ საკითხებისთვისაც მოიცალა, რომელიც სხვადასხვა რეგიონების მცოცავ ანექსიაში უწყობს ხელს. ამჯერად, საუბარი, აფხაზეთში რუსული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებაზეა.**

აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა ალექსანდრე ანქვაბმა, ოფიციალურ ენასთან დაკავშირებული საკითხები განიხილა. როგორც ჩანს, მასზე მოსკოვიდან დიდი ზეწოლა ხორციელდება, რომ რაც შეიძლება მალე გაამყაროს რუსული ენის სტატუსი თვითალიარებულ აფხაზეთში.

რა საჭიროა რუსული ენის მეორე ოფიციალურ ენად აღიარება, როცა რუსული ენა დე ფაქტო, მაგრამ მაინც ნომერ პირველი ენაა „რესპუბლიკაში“. ყველანაირი საქმის წარმოება, სასამართლო პროცესები და განათლებაც კი, რუსულ ენაზე მიმდინარეობს.

ანქვაბი ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში თავადვე აღიარებს, რომ მთავარი აფხაზური გაზეთიც კი „აფხაზეთის რესპუბლიკა“ და ყველა სხვა აფხაზური გაზეთი, რუსულ ენაზე გამოდის. სწორედ ამიტომ არის გასაკვირი ანქვაბის ინიციატივა, რუსული ენის პოზიციებთან დაკავშირებით.

**„ჩვენ აქტიურად განვიხილავთ საკითხს, რუსული ენისთვის, მეორე სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭების შესახებ. არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ რუსული აფხაზურ ენას გაუთანაბრდეს. ყოველ შემთხვევაში, მივიჩნევ, რომ რუსული ენის უფლებები უნდა გამყარდეს“** — განაცხადა ანქვაბმა.

აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ლიდერმა ასევე განაცხადა, რომ აუცილებლად მისახედია აფხაზური ენაც. **„ეს ძალიან რთული თემაა, რომელიც დროს მოითხოვს. პრობლემებია მატერიალურ ბაზასთან დაკავშირებითაც, განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ამ მხრივ სოფლის სკოლებში.**

**საინტერესოა, როგორ აპირებს ანქვაბი აფხაზურ ენასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას, მით უმეტეს ფინანსების გარეშე. რუსეთი რომ აფხაზური ენის შენარჩუნება-განვითარებისათვის არაფერს გაიღებს, ეს ისე ნათელია, როგორც ორჯერ ორი ოთხი და ეს აფხაზებმაც შესანიშნავად იციან. და ეს მხოლოდ პრესასთან მოჩვენებითი წუხილია ანქვაბის მიერ.**

**რაც შეეხება ქართულ ენას, მას მხოლოდ გალის რაიონის მოსახლეობა იყენებს და მისი სახელმწიფო ენად გამოცხადების საკითხი, არ განიხილება“** — ამ კომენტარით ასრულებს ალექსანდრე ანქვაბი ინტერვიუს.

ენასთან დაკავშირებით, ასევე რთული მდგომარეობაა რუსეთის მიერ ოკუპირებულ მეორე რეგიონში, სამაჩაბლოში. როგორც ირკვევა, ახალგაზრდა თაობის დიდი ნაწილი, გამართულად ვეღარ მეტყველებს ოსურ ენაზე. მწვავედ დგას განათლების პრობლემა, მაგრამ ალექსანდრე ანქვაბის მსგავსად, მეორე მარიონეტული რეჟიმის ლიდერ ედუარდ კოკოითსაც, სულ სხვა საკითხი, რეგიონში რუსული ენის სტატუსი აწუხებს. კოკოითი აცხადებს, რომ კატეგორიულად ეწინააღმდეგება იმ გარკვეულ ჯგუფებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ რუსული ენა ასუსტებს ოსურს.

სამწუხაროდ, კოკოითი ყველაფერს აკეთებს, რომ კრემლი არ გაანაწყენოს და სწორედ ამიტომ ძალიან მალე, რუსული ენა, ოსურს, ცხინვალში „არჩევნების“ შემდეგ დაგეგმილი რეფერენდუმის საშუალებით ჩაენაცვლება.

**მარი გოგრიჭიანი**
**Presa.ge**

ვითარება

# „ე.წ. სამხრეთ ოსეთის ირგვლივ კრემლში რაღაც ხდება“

ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიერ რუსეთთან საზღვრის ჩაკეტვას კომიკურად აფასებს. როგორც „პირველს“ არეშიძემ განუცხადა, ეს გადაწყვეტილება ედუარდ კოკოითის დე ფაქტო ხელისუფლების ოპოზიციის წინააღმდეგ არის მიმართული.

**„კოკოითის ხელისუფლება გრძნობს, რომ სერიოზულ საფრთხეშია. იგი ხვდება, რომ ჯამბოლათ თედეევის ფიგურა საკმაოდ სერიოზულია მთელი რუსეთის მოჭიდავეთა წრეებში. გუშინ ცხინვალში ასევე არ შეუშვეს „ედინაია როსიას“ დაღესტნის ფილიალის ჰუმანიტარული ტვირთი. აღსანიშნავია, რომ ეს ფილიალი ძირითადად მოჭიდავეებით არის დაკომპლექტებული. ცხინვალში ჩასვლასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა ასევე არსენ ფაძაევს, რომელიც რუსეთის დუმის დეპუტატია ჩრდილოეთ ოსეთიდან და ისიც მოჭიდავე. შესაბამისად, ეს აკრძალვა ორიენტირებულია ისეთ ადამიანებზე, როგორებიც ბარანკევიჩი, ჯუსოევი, ქელეხსაევი არიან, ანუ ე.წ. სამხრეთ ოსური ოპოზიციის წარმომადგენლებზე და იმ მოჭიდავეებზე, რომლებიც ცხინვალში ოპოზიციის მხარდასაჭერად ჩადიოდნენ. რუსეთთან საზღვრის ჩაკეტვა განსაკუთრებით სასაცილოა იმ ფონზე, როდესაც დე ფაქტო ხელისუფლება დანარჩენ საქართველოსთან მიმოსვლის გამარტივებაზე საუბრობს“,** — განაცხადა არეშიძემ.

რაც შეეხება იმას, კრემლის მხრიდან როგორ იქნება აღქმული ეს გადაწყვეტილება, ან რამდენად შეიძლება, ის მოსკოვთან შეთანხმებული ყოფილიყო, არეშიძის განმარტებით, „კრემლის პოზიცია ჯერჯერობით დაფარულია“.

**„ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ინფორმაცია, კრემლის რომელიმე ფრთა უჭერს მხარს თედეევს. მე პირადად არა მგონია, ის მოსკოვის მხარდაჭერის გარეშე ასეთი აქტიური ყოფილიყო, მაგრამ მეორეს მხრივ, არც კოკოითია „უპატრონო“. როგორც ჩანს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის თემის ირგვლივ კრემლში რაღაც ხდება, რაც ჩვენთვის უცნობია. შესაბამისად, ოფიციალური მოსკოვის პოზიცია დაფარული იქნება მანამ, სანამ ამ შიდა ბრძოლაში (თუ ასეთს მართლაც აქვს ადგილი) ვინმე არ გაიმარჯვებს“,** — დასძინა არეშიძემ.

შეგახსენებთ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთმა რუსეთთან საზღვარი ჩაკეტა.




დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ მურატ ჯიოევის განცხადებით, „საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში საზღვარი ნაწილობრივ ჩაკეტილი იქნება“.

მისივე თქმით, სტაბილურობისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით რუსებს სამხრეთ ოსეთში ჩასვლა ეკრძალებათ“.

**„შეზღუდვა სამხედრო მოსამსახურეებს, მშენებლებსა და მათი ოჯახის წევრებს არ ეხებათ. საზღვარზე დროებითი შეზღუდვის შესახებ რუსულ მხარეს უკვე ეცნობა“,** — განაცხადა ჯიოევმა.

**ნინო ჩიჩუა**

ვიზიტის წინ

# ევროკავშირში გასაწევრებლად გრძელი გზა გვაქვს გასავლელი და მთავრობამ საზოგადოებას ეს არ უნდა დაუმალოს



*საქართველოსთვის საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის თბილისში ვიზიტისა და ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორების“ ვარშავის სამიტის სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორს კახა გოგოლაშვილს ესაუბრა, რომელიც სამიტის პარალელურად ვარშავაში მიმდინარე კონფერენციებსა და დისკუსიებში მონაწილეობდა.*

**— ბატონო კახა, რამდენიმე დღეში თბილისს საფრანგეთის პრეზიდენტი ეწვევა. მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა სარკოზიმ 2008 წლის აგვისტოში რუსული ტანკების შეჩერება შეძლო, ქართულ მხარეს მასთან სარკოზი-მედვედევის 12 აგვისტოს შეთანხმების შეუსრულებლობის გამო სრულიად სამართლიანი პრეტენზიები აქვს. გამოითქმის მოსაზრებები, რომ თბილისში ყოფნისას სარკოზი რუსეთთან მიმართებაში მწვავე განცხადებების გაკეთებას მოერიდება. შედეგის თვალსაზრისით, სარკოზის ვიზიტთან დაკავშირებით როგორია თქვენი მოლოდინი?**

— სარკოზის ვიზიტთან დაკავშირებით არსებული აჟიოტაჟის გამო ალბათ მოლოდინები უფრო დიდია, ვიდრე რეალობაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ვიზიტის შემდეგ წინსვლას. თავისთავად კარგია, რომ ქვეყანა ცდილობს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყნის ლიდერს ღირსეულად დახვდეს. მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, ეს ვიზიტი პოზიტიურ ჭრილში წარიმართოს და, შესაბამისად, შევქმნათ ისეთი ფონი, რომლის ფარგლებშიც სამომავლოდ უფრო ადვილი იქნება ჩვენთვის სასურველი დაპირებებისა და გადაწყვეტილებების მიღება და განხორციელება.

ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სარკოზის ვიზიტი არ არის მარტო საქართველოში ვიზიტი. არ შეიძლება ითქვას, რომ სარკოზი თბილისში კონკრეტული მიზნის განსახორციელებლად და საქართველოს ხელისუფლებასთან რაღაცაზე შესათანხმებლად ჩამოდის. მიუხედავად, ამისა, ჩვენ შეიძლება ეს ვიზიტი ისეთნაირად გამოვიყენოთ, რომ კიდევ უფრო გავააქტიუროთ საფრანგეთის მთავრობა, რათა საბოლოო ჯამში მოახერხოს რუსეთთან 12 აგვისტოს ვალდებულების შესასრულებლად გარკვეული პერსპექტივების გახსნა, რომელიც ჯერჯერობით ჩაკეტილია; ამ მიმართულებით საფრანგეთის მთავრობამ თავის თავზე აიღოს 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულებაზე ვალდებულება და მივიღოთ პირობა იმისა, რომ პარიზი თავის ძალისხმევას არ დაიშურებს მის შესასრულებლად. თუ ეს სარკოზის წინასაარჩევნო დაპირებების კონტექსტშიც შევა, როგორც მისი საერთაშორისო ასპარეზზე ერთ-ერთი აქტიურობის გეგმის ნაწილი, ჩვენთვის მთლად კარგი იქნება. ეს მართლაც კარგ მუხტს მისცემს პრეზიდენტ სარკოზის, რომ თავისი პრეზიდენტობის დარჩენილი 2-3 წლის განმავლობაში 2008 წლის აგვისტოში დაწყებული საქმე როგორღაც ბოლომდე მიიყვანოს.

**— ოპოზიციის ლიდერები იმედოვნებენ, რომ თბილისში საზოგადოებასთან დაგეგმილ შეხვედრაზე პრეზიდენტი სარკოზი თავის ქართველ კოლეგას ევროკავშირში დამკვიდრებულ აზრს შეახსენებს, რომ „რეფორმების განხორციელებაში გარკვეული წარმატებების მიუხედავად, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, საქართველოს სუსტი წერტილი დემოკრატია, მედიისა და სასამართლოს თავისუფლება, სამართლიანი არჩევნების ჩატარება და ადამიანის უფლებებია“. თქვენც ასე ფიქრობთ?**

— ძნელი სათქმელია, თუ რა კონტექსტში გაიმართება სარკოზისა და სააკაშვილის მოლაპარაკებები თბილისში. თუ ეს დიალოგი ურთიერთპრეტენზიების ფონზე წარიმართა, საფრანგეთის პრეზიდენტი ამას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს და პრეზიდენტ სააკაშვილს დემოკრატიაში იმ ჩამორჩენებს შეახსენებს, რომელიც ქვეყანას აქვს. თუ დისკუსია მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტში წარიმართა, სარკოზი საქართველოში დემოკრატიის ნაკლოვანებებთან დაკავშირებულ საკითხებზე ყურადღებას არ გაამახვილებს.

საქმე ის არის, რომ საქართველოში დაგეგმილი ვიზიტისას სარკოზის ასეთი ვალდებულება არც აქვს. ის ამჯერად თბილისში არ ჩამოდის, როგორც ევროკავშირის პრეზიდენტი და, შესაბამისად რაღაც კონკრეტულ პრეტენზიებზე არ ექნება საუბარი. მის მიმართ საქართველოს მხრიდან არ არის ისეთი მოთხოვნები, რომელიც საქართველოში დემოკრატიის ხარისხს ეხება. სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულება რაიმე კავშირში რომც იყოს მედიასაშუალებების მფლობელების გამჭვირვალობასთან, მაშინ სარკოზი ამას საქართველოს ხელისუფლებას შეახსენებდა, მაგრამ ვინაიდან ეს საკითხები კავშირში არ არის, არა მგონია, მათზე განსაკუთრებული ყურადღება იქნას გამახვილებული.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია




## FACEBOOK-ში მიხეილ სააკაშვილის გვერდი აღდგენილია

Facebook-ში მიხეილ სააკაშვილის გვერდი აღდგენილია. პრეზიდენტის Facebook-ის ოფიციალური გვერდი გუშინწინ დილით დაიბლოკა. დაბლოკვის მიზეზი ათასობით საჩივარი გახდა, რომელიც მომხმარებლებმა მიხეილ სააკაშვილის შესახებ Facebook-ის ადმინისტრაციაში გააგზავნეს. როგორც გაირკვა საჩივრები ფიქტიური იყო და კომპიუტერული ვირუსის მიერ იყო გენერირებული. ჰაკერების შეტევის მიზეზი ეს გვერდი მას შემდეგ გახდა, რაც პრეზიდენტის ადმინისტრაციის საიტზე მისი ბმული გაჩნდა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სოციალურ ქსელ Facebook-ში საკუთარი გვერდი ორი დღის წინ გახსნა. ამ დროისთვის პრეზიდენტის გვერდი 3352 ადამიანმა უკვე მოიწონა. სააკაშვილს თავის გვერდზე განთავსებული აქვს ფოტოები, მათ შორის ოფიციალური და მოსახლეობასთან შეხვედრების ამსახველი.

ХИ-ЭИВ-ЭНИ

ვიზიტის წინ

(მესამე გვერდიდან)

# ევროკავშირში გასაწევრებლად გრძელი გზა გვაქვს გასავლელი და მთავრობამ საზოგადოებას ეს არ უნდა დაუმალოს

**— ბატონო კახა, თქვენთან ვარშავის სამიტის შედეგებზე საუბარი საზოგადოებისათვის იმ ნაკლებად გახმაურებელი ფაქტით გვინდა დავიწყოთ, რომელიც ევროკავშირის მიერ ბელარუსთან დაკავშირებით უარყოფითი შეფასებების შემცველ რეზოლუციას და პრეზიდენტ ლუკაშენკოს ეხებოდა და, რომელსაც, აღმოსავლეთ ქვეყნებმა მხარი არ დაუჭირეს. ამით 6-ვე პოსტსაბჭოთა ქვეყანამ სამიტის ორგანიზატორი პოლონეთი და ევროკავშირის სხვა ქვეყნები გაანაწყენეს. არავინ დავობს, რომ მინსკი მოსკოვთან ერთი-ერთზე ევროპამ არ უნდა დატოვოს, მაგრამ ის, რაც ლუკაშენკომ საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ ჩაიდინა, მხედველობაში მაქვს თითქმის მთელი ოპოზიციის დაპატიმრება, აშკარად დასაგმობი ქმედებაა...**

— ნამდვილად დასაგმობია. ვარშავაში მიიღეს დეკლარაცია „აღმოსავლეთ პარტნიორობასთან“ დაკავშირებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობაზე, რომელზეც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები შეთანხმდნენ. რაც შეეხება ბელარუსის საკითხს, აქ შეხედულებები გაიყო და საბჭოთა კავშირის არც ერთი ყოფილი სახელმწიფო ბელარუსის წინააღმდეგ მიღებულ რეზოლუციას არ შეუერთდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნების ლიდერები ყველაფერში ეთანხმებიან და ტაშს უკრავენ პრეზიდენტ ლუკაშენკოს. მათი თავშეკავება იმ გარკვეული პოლიტიკური კონტექსტით იყო მოტივირებული, რომელშიც ისინი არსებობენ. ამისთვის საქართველოს თავისი მიზეზი ჰქონდა, — მინსკის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის არცნობა. სხვა ქვეყნები, იგივე უკრაინა, ეკონომიკურად ძალიან ძლიერ კავშირშია ბელარუსთან და, გარდა ამისა, მისი უშუალო მეზობელია, მასთან ურთიერთობების გართულება ყველა თვალსაზრისით არ სურს.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ალბათ ცოტათი უკმაყოფილო დარჩებოდნენ იმით, რომ მათმა აღმოსავლეთ პარტნიორებმა ბელარუსთან დაკავშირებით მათი შეხედულებები მთლიანად არ გაიზიარეს და არ შეუერთდნენ ამ დეკლარაციას. ამავე დროს, მათ უნდა გაიგონ ყველა ის მიზეზი, რომლის გამოც ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს არა აქვთ ის ფუფუნება, რომ ბელარუსის წინააღმდეგ ასეთი სახის დეკლარაციას შეუერთდნენ.

**— ფაქტია, რომ სამიტის დაწყებამდე გაურკვეველი რჩებოდა საქართველოს არჩევანი — სინგაპურიზაცია თუ ევროპიზაცია, მაგრამ სამიტზე „ლუკაშენკოზე უკეთესად“ მიგვიჩნიეს. ევროკავშირმა, აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში პოსტსაბჭოთა 6-ვე ქვეყნის მიმართ ახალი პრინციპი — „მეტი მეტისთვის“ შეიმუშავა, რომლის არსი ასეთია: ბრიუსელიდან ფულს ტყუილად ვერავინ მიიღებს, თუ გინდა „მეტი“, მეტად უნდა გაატარო ქვეყანაში რეფორმები ეკონომიკისა და დემოკრატიზაციის სფეროებში. როგორ შეაფასებდით სამიტის შედეგებს და, თქვენი აზრით, შედეგის თვალსაზრისით რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს საქართველოს?**

— რაც შეეხება პრინციპს „მეტისთვის მეტი“, ეს პრინციპი ჩადებული იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის დამფუძნებელ პროგრამულ დოკუმენტში. მასში იმთავითვე იყო გაცხადებული დიფერენციაციის პრინციპი. რაც ნიშნავდა იმას, რომ ქვეყნები ევროკავშირთან დაახლოების სტატუსს იმის მიხედვით მიიღებენ, თუ როგორ წარმართავენ თავინთ ქვეყნებში რეფორმებს; რამდენად მნიშვნელოვან პროგრესს უჩვენებენ რეფორმების გზაზე განვითარებას. ეს პრინციპი ვარშავის სამიტზე პრაქტიკულად ახალი ძალით გაცხადდა. პრინციპში ასეც ხდება, უკრაინა უკვე ხელს აწერს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას, მოლდოვა და საქართველო, ალბათ, წლის ბოლომდე დაიწყებენ მოლაპარაკებებს. რაც შეეხება, სომხეთსა და აზერბაიჯანს, ისინი მომავალ წელს იქნებიან მზად ბრიუსელთან ამ საკითხზე მოლაპარაკებების დასწყებად. ბელარუსი საერთოდ ამოვარდნილია ამ კონტექსტიდან და არც ვიცით, გააგრძელებს თუ არა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატში ბრიუსელთან თანამშრომლობას. ბელარუსის მთავრობამ უკვე გააკეთა განცხადება, რომ მინსკი შესაძლოა, გამოვიდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობის პროგრამიდან.

**— გაცხადდა, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებების დაწყების ვადა წლის ბოლომდე გაირკვევა, მაგრამ არავინ საუბრობს, როდის და რა შედეგით დასრულდება ეს მოლაპარაკებები...**

— მოლაპარაკებების დასრულების ვადის წინასწარ განსაზღვრა ნამდვილად რთული საქმეა.



ეს პირველ რიგში იმ ნებაზეა დამოკიდებული, რომელსაც მხარეები გაამჟღავნებენ. როგორც წესი, ასეთი მოლაპარაკებები ერთიდან რამდენიმე წლამდე გრძელდება.

**— გადაჭარბებული ჩანს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმზე გადასვლის პერსპექტივა. ამ საკითხზე ერთი წელი მიმდინარეობდა მოლაპარაკებები, მაგრამ როგორც გაირკვა, შედეგი მაინცდამაინც ხელშესაღები არ აღმოჩნდა...**

— ამ საკითხის პოლიტიზება ხდებოდა არა მარტო საქართველოში. მთავრობები ცდილობდნენ, ზედმეტი დაპირებები მიეცათ თავიანთი ქვეყნების მოსახლეობისთვის. ვიზის სრულ ლიბერალიზაციაზე კურსი აღებულია, რაზეც ევროკავშირს განცხადება დიდი ხანია, გაკეთებული აქვს. ვარშავის სამიტზე ეს განცხადება კიდევ ერთხელ გაკეთდა. დასავლეთ ბალკანეთში მოხდა შეთანხმებების გაფორმება სრულ ლიბერალიზაციაზე. ნელ-ნელა იკითხება ბრიუსელის სურვილი, გახსნას და გაამარტივოს მოქალაქეთა გადადგილების შესაძლებლობა. ეს ჩვენთან მიმართებაშიც მოხდება, მაგრამ ეს არ არის სწრაფად გაკეთებადი საქმე. ამას სულ ცოტა რამდენიმე წელიწადი დასჭირდება.

**— კონფლიქტებთან დაკავშირებითაც ახალი ბევრი არაფერია, დაახლოებით ასეთი ვითარებაა — „ჩვენ კი ვაქტიურობთ, მომავალშიც ვიაქტიურებთ, მაგრამ ბევრი რამ დამოკიდებული რუსეთის სურვილზეაო“...**

— სამწუხაროდ, კონფლიქტების მიმართულებით აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ამოქმედება ჯერ ვერ ხერხდება. როგორც ჩანს, მომავალ წლებში ევროკავშირის წევრთა ცალკეული პოლიტიკით გაგრძელდება ამ მიმართულებით მუშაობა. ეს ქვეყნები ყოველგვარი წინასწარ დაგეგმილი სტრატეგიით გააგრძელებენ ძალისხმევას კონფლიქტების მოგვარებისათვის, როგორც საქართველოში, ისე — მოლდოვას, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატი იქნას გამოყენებული.

**— საქართველოს ლობისტი ქვეყნის, პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა ტუსკმა განაცხადა, რომ „საქართველოს ევროკავშირში გასაწევრებლად დიდი გზა აქვს გასავლელი“. ჩვენი ხელისუფლება საწინააღმდეგოს ამტკიცებს. თქვენი აზრით, რატომ?**

— ეს არა მარტო საქართველოში ხდება. ხელისუფლება ცდილობს, რომ მაქსიმალურად დადებითად წარმოაჩინოს ქვეყნის პერსპექტივები მისი მმართველობის დროს. ის, რასაც ბატონო ტუსკი აცხადებს, ერთი მხრივ დადებითია, თუნდაც იმიტომ, რომ მან საერთოდ ხაზი გაუსვა საქართველოსა და მოლდოვას, რომლებიც დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ყველაზე ახლოს არიან ევროკავშირში გაწევრებასთან. რაც შეეხება მისივე მტკიცებას, რომ ჩვენ ევროკავშირში გასაწევრებლად გრძელი გზა გვაქვს გასავლელი, ეს აბსოლუტური რეალობაა და ეს მთავრობამ საზოგადოებას არ უნდა დაუმალოს. ჩემი აზრით, ჩვენი ხელისუფლება ამას არც მალავს, მაგრამ ამ გრძელ გზაზე ჩვენ გვაქვს გაჩერებები, რომლებიც უფრო და უფრო გვაახლოებს ევროკავშირთან. იმის გამო, რომ ჩვენ გზა ბრიუსელისკენ გრძელი გვაქვს, დიდი შეცდომა იქნებოდა მასზე უარის თქმა. არ არის გამორიცხული რომ პროცესები უფრო სწრაფად განვითარდეს და ჩვენ იმაზე მალე მივიღოთ ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივა, ვიდრე დღეს ეს ჩანს. ამისათვის კი, მზად უნდა ვიყოთ.

**— ხელისუფლებამ ახალი საარჩევნო კოდექსის მისაღებად კონკრეტული ნაბიჯები კი გადადგა, მაგრამ ოპოზიცია აცხადებს, რომ არც ახალი და არც ძველი საარჩევნო კოდექსით საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელია...**

— საარჩევნო კოდექსისა და გარემოს ექსპერტად ვერ ჩავითვლები. შესაძლოა, ამ საკითხებზე ჩემზე უკეთ სხვამ გიპასუხოთ, მაგრამ მე ვხედავ, რომ ბევრი ოპოზიციური პარტია არჩევნებზე მიდის და არ აპროტესტებს იმ გარემოს, რომელიც ქვეყანაშია შექმნილი. ისინი კრიტიკით ბევრ რამეს კი აკრიტიკებენ, მაგრამ არა აქვთ გადაწურული იმედი, რომ არჩევნებში წარმატების მიღწევა შესაძლებელია. ეს უკვე ნიშნავს, რომ საარჩევნო გარემო ნამდვილად გაუმჯობესებულია. თუ რამდენად არის ის დაახლოებული საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, ამაზე საუბარი მიჭირს. მაგრამ, გაუმჯობესებული რომ არის, ეს ფაქტია და ეს ოპოზიციურ პარტიებთან მოლაპარაკებებისა და გარკვეული შეთანხმებების საფუძველზე მოხდა.

კობა ბენდელიანი

საით?

# „ევრაზიის კავშირის“ შექმნის შესახებ პუტინის ინიციატივა სსრკ-ის აღორძინების მორიგი ცდაა“

ექსპერტი საგარეო პოლიტიკის საკითხებში ირაკლი მენაღარიშვილი „ევრაზიის კავშირის“ შექმნის შესახებ რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის ინიციატივას „საბჭოთა კავშირის აღორძინების მორიგ ცდად“ აფასებს.

როგორც „პირველს“ მენაღარიშვილმა განუცხადა, **„ჯერჯერობით ეს დსთ-ის მორიგ გამოცემას ჰგავს, რომლის უკან, რა თქმა უნდა, ყოფილი საბჭოთა კავშირის მორიგი ფორმით აღორძინება იგულისხმება“.**

**„ყოველ შემთხვევაში, აწ უკვე რუსეთის მომავალი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ყველა გამოსვლა და შეფასება რომ შევაჯამოთ, ნათლად დავინახავთ, საით მიმავალი პროექტიცაა ეს ყველაფერი. ვფიქრობ, საქართველოში მსგავსი ინიციატივა დიდ ენთუზიაზმს არ გამოიწვევს. ჩვენ ეს 1920-იან წლებში, შემდეგ აფხაზეთის ტრაგედიის დროს გავიარეთ და ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ საკმარისი გაკვეთილი მიიღო. თუ ეს ყველაფერი ცივილიზებული თანამშრომლობით მოხდება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია, ინიციატივის მონაწილეებს მხოლოდ წარმატება ვუსურვოთ, მაგრამ აქამდე არსებული გამოცდილება ყოველთვის საწინააღმდეგოზე მეტყველებდა“,** — განაცხადა მენაღარიშვილმა.

რაც შეეხება „ევრაზიის კავშირის“ ევროკავშირთან შედარებასა და კონკურენციას, მენაღარიშვილის შეფასებით, „ჯერჯერობით ამაზე საუბარიც არასერიოზულია“.

**„21-ე საუკუნეში გაერთიანებების მასშტაბები მასში შემავალი ტერიტორიების სიდიდით არ განისაზღვრება. მართალია, „ევრაზიის კავშირი“ ჯერ არ შექმნილა, მაგრამ ის თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური პარამეტრებით ევროკავშირს ვერ შეედრება“,** — დასძინა მენაღარიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების „ევრაზიის კავშირში“ გაერთიანების ინიციატივით გამოდის.

პუტინის მიერ გაზეთ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ წერილში პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების თანამშრომლობის მიზნით უფრო მჭიდრო ინტეგრაციაზეა საუბარი.

პუტინის ინიციატივით, ახალი კავშირი საბაჟო კავშირს დაეფუძნება, რომელიც უკვე არსებობს რუსეთს, ბელორუსიასა და ყაზახეთს შორის და რომლის ფარგლებშიც მომავალი წლიდან ვაჭრობის ყველა ბარიერი გაუქმდება.

ამასთან, პუტინის მტკიცებით, ახალი კავშირი არა საბჭოთა კავშირს, არამედ ევროკავშირს უნდა დაემსგავსოს.

ნინო ჩიჩუა

ინფორმაცია

## ჟენევის მოლაპარაკებების მე-17 რაუნდი უშედეგოდ დასრულდა

რუსულმა მხარემ ყველა იმ შეთავაზების განხილვაზე თქვა უარი, რომელიც ქართულმა მხარემ დააყენა. მათ შორის, ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების აღდგენასა და დევნილების დაბრუნებაზე.

რუსეთმა უარი განაცხადა ძალის გამოუყენებლობის ვალდებულებაზეც. რუსული დელეგაციის ხელმძღვანელმა გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ რუსეთი კავკასიაში მშვიდობის გარანტად რჩება და კარგი იქნება თუ ამ მისიას შეერთებული შტატები და ევროკავშირიც აიღებს. მისივე განცხადებით, რუსეთი თავს კონფლიქტში მხარედ არ სცნობს.

— მორიგი რაუნდი წარუმატებლად მორჩა. სამწუხაროა, რომ მოსკოვის პოზიცია ყველაზე მნიშვნელოვანსაკითხებზე ისევ უცვლელი რჩება. არაფერზე არ არიან წამსვლელები. მოსკოვის პოზიცია არის ხისტი და კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ეს იყო წინა რაუნდებზე, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგი კაპანაძემ.

ჟენევის მოლაპარაკებების ამ რაუნდზე ქართულმა მხარემ სამი ძირითადი საკითხი დააყენა: ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო მექანიზმების არსებობის აუცილებლობა; რუსეთის მხრიდან ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღება და დევნილების დაბრუნება. ქართულ დელეგაციას უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია ხელმძღვანელობდა.

ჯი-ეიჩ-ენი

**გლობუსი**

# ევროკავშირი, საქართველო და სარკოზი

სექტემბრის დასასრული და ოქტომბრის დასაწყისი მასობრივი დემონსტრაციებით აღინიშნა არა მარტო უკვე ტრადიციად ქცეულ საბერძნეთში, არამედ ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა აშშ. ორ კვირაზე მეტია ნიუ-იორკის ცენტრში, უოლ-სტრიტის სიახლოვეს კარვები დასცეს სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლებმა, ხოლო შემდეგ ათეულ-ათასობით ნიუ-იორკელმა გადაკეტა უოლ-სტრიტი და მიმდებარე ქუჩები. ტრანსპორტის მუშაობის აღსადგენად პოლიციას ცრემლსადენი გაზის გამოყენებაც მოუხდა, რამაც ერთი-ორად დაძაბა სიტუაცია. 500 კაცი დაიჭირეს, თუმცა მოგვიანებით გაათავისუფლეს. განთავისუფლებულები კვლავ შეუერთდნენ „ფრონტის" ხაზს. მანიფესტაცია გრძელდება და როგორც ამბობენ ნიუ-იორკელების მაგალითს სხვა ქალაქებიც გაიზიარებს.

ანალოგიური ვითარებაა საფრანგეთში, იტალიაში, ესპანეთში. გაფიცვებისა და დემონსტრაციების მთავარი თემა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაა. გაფიცულები მოითხოვენ სოციალური უთანაბრობის ალაგმვას, მდიდართა მიმართ მაღალი გადასახადების დაწესებას, სამუშაო ადგილებს, მზარდი ინფლაციის შეჩერებას. არაპოპულარული სოციალური პროგრამების გაუქმებას და სხვა. უოლ-სტრიტი, უორ-სტრიტი – ანუ უოლ-სტრიტი „ომის ქუჩა" ასეთი ლოზუნგებით გამოდიან ამერიკელი დემონსტრანტები.

მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 3 წელია მძვინვარებს ამერიკა-ევროპაში და აქედან გამომდინარე მეტ-ნაკლებად მთელს მსოფლიოში სერიოზულად აფერხებს სოციალური პროგრამების განვითარებას, ამცირებს ხელფასებს, ზრდის ინფლაციასა და უმუშევრობას – 45 მილიონი ამერიკელია სიღარიბის ზღვარს მიღმა, უმუშევრობა კარგა ხანია გასცდა სარეკორდო 9 პროცენტს. ექსპერტების მიხედვით ამერიკის ადმინისტრაციის მიერ გადადგმული ანტიკრიზისული ნაბიჯები, მათ შორის ბანკებისათვის სახელმწიფო ფინანსური ინექცია ნაკლებეფექტიანი გამოდგა. უმუშევრობის შესამცირებლად ობამას ადმინისტრაციამ ახალი პროგრამა შეიმუშავა, თუმცა მას კონგრესის გარეშე ამოქმედება არ ეღირსება. რესპუბლიკური უმრავლესობით გაჯერებული კონგრესი ნაკლებად გაიზიარებს დემოკრატი პრეზიდენტისა და მისი გუნდის ინიციატივას, რაც კიდევ უფრო გაამწვავებს ვითარებას.

ანალოგიური პრობლემები აწუხებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსაც, მათ შორის ისეთებსაც, როგორებიცაა იტალია, პორტუგალია, ესპანეთი. წაიფორთხილეს ისეთმა მძიმეწონიანმა ქვეყნებმა, როგორებიცაა საფრანგეთი და გერმანია. ბოლო მონაცემებით ეკონომიკური ზრდის ტემპმა ძლივს მიაღწია 1.5 პროცენტს, ნაცვლად სავარაუდო 4 პროცენტისა. გერმანელები შეფერხებას, საბერძნეთისათვის ფინანსური დახმარების გაწევით ხსნიან. გერმანია ევროკავშირის ქვეყნებიდან ყველაზე მეტ ფულს ყოფს საბერძნეთის დასახმარებლად, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან საბერძნეთის წაქცევა მთლიანად ევროკავშირის და ევროს წაქცევის დასაწყისი იქნება.

**ამერიკა-ევროპაში შექმნილი ვითარება და ხალხის რეაქცია აშკარად გვაფიქრებინებს თუ რა შორსაა საქართველო დასავლეთიდან.** ევროპა მარტო გეი-პარადები არ არის. ევროპა დახვეწილი კანონმდებლობა, ადამიანის უფლებათა დაცვა და რაც მთავარია საზოგადოების სამოქალაქო პასუხისმგებლობაა – მიტინგებით, გაფიცვებით, დემონსტრაციებით, თუნდაც მაღაზიის ვიტრინების მსხვრევით, ავტომანქანების დაწვით და სხვა არასასიამოვნო მოვლენებით. „ასი ათასი კაცი გამოვიდა თბილისის ცენტრში და ერთი ფოთოლიც არ ჩამოვარდნილა ხიდანო" – ამბობდნენ ამაყი ქართველები. მერე რა მოიტანა იმ გამოსვლამ? თავშეკავებასა და აკადემიურობაში ფიცხი ქართველობა ვერაფრით შეედრება ევროპას, ცხადია ვერც ცხოვრების დონით, სოციალური პირობებით შეედრებით მას. იქაური პრობლემები ჩვენთვის ედემის ბაღია, თანაც ისეთი, რომელსაც ოცი-ოცდაათი წლის შემდეგაც, რომ ვერ ვეღირსებით. დასავლეთს რომ ისეთი გაუსაძლისი, თანაც უპერსპექტივო სოციალური ყოფა ჰქონდეს, როგორც ჩვენ, ყველა ხელისუფლებას დაამთავრებდა. საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა, რაც იქ არის და აქ კარგა ხანი არ იქნება, მარტივი მიზეზის გამო – სურვილის უქონლობა რომ ჰქვია, პერმანენტული გაუსაძლისი სოციალური ყოფის გარანტიაა. ვინც იბრძვის – ის იგებს. ვინც არა – ცხოვრობს და იცხოვრებს ისე, როგორც ჩვენ. ქართველი პურის გამო ქუჩაში არ გამოვაო. საინტერესოა როდის გამოვა. მასზე არც ტერიტორიების დაკარგვა მოქმედებს, არც შეურაცხყოფა, არც ათასგვარი გადასახადები, არც მიტინგებზე გაროზგვა, არც ენის და ისტორიის შებღალვა... ჭარბი აკადემიურობა, უფრო სწორად ამტანობა და რაც მთავარია სხვისი მოიმედობა გახდა ჩვენი მთავარი მახასიათებელი. ხან ევროკავშირში შესვლით ვიიმედებთ თავს, ხან ნატოში. ხელისუფალთა ტყუილ ფრაზებს ჩამოკიდებულები, დღენიადაგ იმას ვნატრობთ როდის მიგვიღებენ ევროკავშირის ნავსაყუდელში, ერთი წუთითაც არ ვფიქრობთ შეგვიშვებენ იქ თუ არა. ზედმეტი ოპტიმიზმი და სისულელე გვაფიქრებინებს ამას, თორემ ევროკაშვირის კრიზისის შემყურეს, მსგავსი აზრი არ უნდა გავივლოთ თავში. კრიზისიც რომ არ იყოს – პრობლემებიან საქართველოს ფეოდალური კანონებით, დამახინჯებული სასამართლო სისტემით, ადამიანის უფლებების ყოველდღიური დარღვევით, არარსებული ეკონომიკით და რაც ყველაზე თვალშისაცემია ევროპისაგან ძალიან, ძალიან შორს მყოფი მენტალიტეტით ევროკავშირის კარს არავინ გაუღებს. ევროკავშირი თავის თავზე არ აიღებს საქართველოს პრობლემებს. თავსატკივრად არ გაიხდის ქართულ-რუსულ, ქართულ-ოსურ, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს. მაშ რა იწვევს იმ პათოსს, რასაც ადგილი ჰქონდა ამასწინანდელ ვარშავის სამიტთან დაკავშირებით. თვალში სახელისუფლებო ნაცრის შეყრა, ტყუილი და მასთან ერთად უცოდინარობა.

ქართული ტელეკომპანიების ჟურნალისტების მიერ დანთებული ცეცხლი რომ ნაწილობრივ მაინც ყოფილიყო რეალობის ამსახველი, კიდევ არაფერი. სამიტის გადაწყვეტილება იყო მარტივი – **ვაჭრობასთან დაკავშირებული მოლაპარაკება დაიწყება. ე. ი. მოლაპარაკება დაიწყება და არა ვაჭრობა.** რატომღაც ამ სიმარტივესთან ერთად ხაზგასმით იყო ლაპარაკი, ცხადია ქართველი ჟურნალისტების მხრიდან ევროკავშირში გაწევრებაზეც. ნატოში გავწევრდით და ახლა ევროკავშირი დაგვრჩა. აბსტრაქტული იმედი დიდი ვერაფერი შვებაა.



საქართველოს ახალი იმედი გაუჩნდა – საფრანგეთის პრეზიდენტის ჩამოსვლით. ეს იმედი ტერიტორიების დაბრუნებას უკავშირდება, მაგრამ რამდენად შესაძლებელია იმედის რეალობად ქცევა? თუ რუსეთის პრეზიდენტის მოსაზრებას გავიზიარებთ – პერსპექტივა დაბრუნებისა ნულის ტოლია. ორი თვის წინათ მედვედევმა ჟურნალისტებთან ინტერვიუს დროს გამოკვეთილად აღნიშნა: – **„არის საფრანგეთის პოზიცია, არის, ევროკავშირის პოზიცია, ის განსხვავდება ჩვენი პოზიციისგან. მე ვთვლი, რომ შევასრულე მედვედევ-სარკოზის გეგმა – თანაც ასი პროცენტით. რაც შეეხება ჯარის გაყვანას, ეს მოხდა. მედვედევ-სარკოზის გეგმა გულისხმობს ომის შეჩერებას, იმ პრობლემის შეჩერებას, რომელიც შექმნა სააკაშვილის ავანტიურამ. მე ვთვლი, რომ ამ დარგში გეგმამ იმუშავა. რუსეთის პოზიცია მარტივია: მედვედევ-სარკოზის გეგმა: ა) გამოვიდა; ბ) შესრულდა ასი პროცენტით. დანარჩენი ინტერპრეტაცია არ მესმის, ვინაიდან არასწორად ვთვლი მათ".** **შეძლებს სარკოზი ან საერთაშორისო საზოგადოება რუსეთის ხელისუფლების იძულებას? ძნელი სავარაუდოა. შეძლო საერთაშორისო საზოგადოებამ კვიპროსთან მიმართებაში? სხვა მაგალითებს არ მოვიყვან. საქართველოს პრობლემა გრძელვადიანია და ის მრავალ ხელისუფლებას გადაიყოლებს.**

რაც შეეხება სარკოზის – ერთობ დინამიური პრეზიდენტია, რითაც განსხვავდება ყველა წინამორბედისგან, თანაც ამერიკასთან მჭიდრო თანამშრომლობის მომხრე. წინამორბედები თავს იკავებენ ამერიკასთან ჩახუტებისგან. 2007 წელს გამარჯვების შემდეგ, სარკოზიმ გამოაცხადა ყოვლისმომცველი რეფორმები. მისდა სამწუხაროდ ბევრი ვერ შესრულდა მსოფლიო კრიზისის გამო. გაუარესდა სოციალური პირობები, რითაც ეს ქვეყანა ცნობილი იყო მსოფლიოში. მოიმატა საპენსიო ასაკმა 60-დან 62 წლამდე. გაიზარდა უმუშევრობა. ამ და სხვა პრობლემებმა 22 პროცენტამდე დაიყვანა სარკოზის რეიტინგი. საგარეო პოლტიკა – სარკოზის მთავარ კოზირად ითვლება. მისმა ინიციატივამ ლიბიასთან მიმართებაში ოდნავ გააუმჯობესა პრეზიდენტის რეიტინგი. კავკასიაში ვიზიტი იმიჯის გამოსწორებას ემსახურება, თუნდაც ისეთ საკითხში, როგორიცაა ყარაბახი. სარკოზის სურს ყარაბახთან მიმართებაში თავისი ავტორიტეტული სიტყვის თქმა, მაგრამ რას იტყვის რუსეთი, ყარაბახის საკითხში მთავარი მოთამაშე? სარკოზის კავკასიაში ვიზიტი, თეორიულად, კავკასიის მინდორზე ამერიკა-რუსეთის შემდეგ ახალი მოთამაშის გამოჩენის ნიშანია, მაგრამ ევროკავშირის პრობლემები, თვით საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც მომავალი წლის აპრილში გაიმართება, ორი დიდი მოთამაშის მოსაზრება, მესამის გამოჩენასთან დაკავშირებით და სხვა მრავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური ნიუანსი, საწინააღმდეგო მოსაზრებას ბადებს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

**ნავთობპროდუქტები**

# ფასებს ანტიმონოპოლიური „ხუნდები" სჭირდება

ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში დღესდღეობით მიმდინარე ბობოქარ მოვლენებს, რომლებსაც ხშირად რევოლუციებადაც კი ნათლავენ, მრავალი ავტორიტეტიანი პოლიტიკური და ეკონომიკური მიმომხილველი ბევრ ასპექტში ენერგოშემცველებზე კონტროლის დამყარების საკითხს უკავშირებს. ეს კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, თუ რა დიდ როლს ასრულებენ დღევანდელ მსოფლიოში ენერგოშემცველები, კერძოდ კი ნავთობი, რომლის ფასის მერყეობას სხვადასხვა ქვეყანაში საკმაოდ ძლიერი და პოპულარული მთავრობებიც კი შეეწირვიან.

ამდენად, ბუნებრივია, რომ ნავთობპროდუქტებით ქვეყნის ბაზრის მომარაგება, საწვავის ფასი და ამ თემასთან დაკავშირებული სხვა საკითხები საქართველოშიც მეტად აქტუალურია და ხშირად საზოგადოებრივი განსჯის საგანი ხდება. ლაპარაკი, კერძოდ, საწვავის ფასებზე, მის ხარისხზე, ნავთობკომპანიების მომხმარებლის მიმართ დამოკიდებულებასა და მთელ რიგ სხვა საკითხზეა ხოლმე. კერძოდ, ყველაზე ხშირად გამოითქმება საყვედურები საწვავის დაბალ ხარისხსა და შეუსაბამოდ მაღალი ფასების გამო. ამასთან, ზოგჯერ ის აზრიც გაიელვებს, რომ საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირი (მისი თავმჯდომარეა ვანო მთვრალაშვილი), თავის საქმიანობის არც შესაბამის სახელს ატარებს (აბა, განა საქართველოში ნავთობის თუნდაც ერთი მწარმოებელი მაინც არის?), არც მოქმედებით შეესაბამება, რადგან ის ძირითადად, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ინტერესების დამცველად გვევლინება. აი, ამ საჭირბოროტო საკითხების თაობაზე სალაპარაკოდ მივაკითხე კავშირის თავკაცს **ვანო მთვრალაშვილს**, რომელთანაც კარგი საქმიანი კონტაქტები არაერთი წლის მანძილზე მაკავშირებს.

– თავდაპირველად უნდა გითხრათ, რომ როცა ჩვენი კავშირი შეიქმნა, ნავთობის მწარმოებლები საქართველოში ნამდვილად იყვნენ, – თქვა ვანო მთვრალაშვილმა. – მართალია, ახლა ასეთები არ გვყავს, მაგრამ ახლო მომავალში, როცა თანამედროვე ნავთობგადამმუშავებელი საწარმოები ამოქმედდება, ასეთებიც იქნებიან. ახლა რაც შეეხება თქვენს მიერ დასმულ საკითხს მომხმარებელთა ინტერესთა დაცვასთან დაკავშირებით. კავშირის საქმიანობის ერთ-ერთ მიზანს **„ნავთობპროდუქტების ბაზარზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელება საწვავის ხარისხსა და ფასთან დაკავშირებით, შემდგომ კი საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება"** წარმოადგენს. თავისთავად, საწვავის ხარისხის მონიტორინგი, დამეთანხმებით, პირველ ყოვლისა მომხმარებელთა უფლებების დაცვას ემსახურება, რის თაობაზე საზოგადოებრიობა სათანადოდ გვყავს ინფორმირებული. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენში სხვა ორგანიზაცია არ მეგულება, რომელსაც კავშირისნაირი მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეს მასმედიასთან. ამის დასტურად შეიძლება კავშირის მოღვაწეობის თაობაზე ბოლო 7-8 წლის მასალების ნახვა, სადაც ნავთობპროდუქტების მონიტორინგის ანგარიშებია წარმოდგენილი, რომლებსაც ჩვენ ვებ-საიტზე ვათავსებთ.

ბატონ მთვრალაშვილის თქმით, დღესდღეობით საქართველოში ევრო – 5, 4, 3, 2 და 1-ის სტანდარტის შესაბამისი ბენზინი იყიდება, რომლის ხარისხი რიცხობრივი ინდექსის კლების შესაბამისად დაბლდება. მაღალი ხარისხის საწვავი ევროპიდან, უმთავრესად იტალიიდან, ბულგარეთიდან და საბერძნეთიდან შემოაქვთ ქართველ იმპორტიორებს. მაგალითისთვის მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მაღალი ხარისხის ბენზინის (ევრო-5 და ევრო-4-ის ტიპის) იმპორტიორი საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია „რომპეტროლია", რომელსაც პროდუქცია ევროპიდან საკუთარი გადამმუშავებელი ქარხნიდან შემოაქვს. ამდენად ამ ტიპის ბენზინის მარკების უხარისხობაზე ლაპარაკი არ არის. რაც შეეხება აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ საწვავს, მისი წილი საქართველოს შიდა ბაზარზე 35-40 პროცენტია, ხოლო სტანდარტი ევრო-1 – ევრო-2 შუაშია მოქცეული, ანუ დაბალი ხარისხისაა გოგირდის მაღალი შემცველობის გამო.

ზოგადად კი, კავშირის თავკაცის განცხადებით, **საქართველოს საწვავის ბაზარზე, მისი ხარისხის მხრივ, მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია: საწვავის უმრავლესობა ტიპებში საერთოდ არ არის ტყვია.** საიმისოდ, რომ ჩვენში „გაფუჭებული" საწვავი გაყიდოს, ამისთვის მას ადგილზე რაღაც უნდა შეურიონ. ამისთვის კი ვიღაც ნავთობს უნდა იპარავდეს, ადგილზე მისი უხარისხო გადამუშავება ხდებოდეს, რაც არარეალურია. ამ მხრივ ადრე პრობლემები არსებობდა, საკმაოდ სერიოზულიც, ამასთან დაკავშირებით სადღეისოდაც არაერთი პიროვნება სასჯელსაც იხდის.

იხ. 6 გვ.

ნავთობპროდუქტები

# ფასებს ანტიმონოპოლიური „ხუნდები“ სჭირდება



(მეხუთე გვერდიდან)

— აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ საწვავის კონტროლის მონიტორინგს ჩვენს კავშირს არავინ სთხოვს, რადგან ოფიციალურად ამის ვალდებულება არ გვაკისრია, — ამბობს ბატონი ვანო. — ყოველივეს საკუთარი ინიციატივით ვაკეთებთ. ამ მხრივ მომხმარებელთა ინფორმირებას თავისი შედეგიც მოაქვს: ხშირად მოგვმართავენ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ჩვენც მაშინვე ვცდილობთ შექმნილ ვითარებაში გარკვევას, რისთვისაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის იმპორტიორს, ან კომპეტენტურ ორგანოებს მივმართავთ. აქვე მინდა მომხმარებელთა ყურადღება ერთ გარემოებაზე გავამახვილო: **თუ ავტოგასამართი სადგური არაბრენდირებულია, თან საწვავს დაბალ ფასად ყიდის, ეს მომხმარებლის მოტყუების პირველი ნიშანია. თავად განსაჯეთ: განა შეიძლება ასეთი სადგურის მეპატრონე საწვავს თავად მის იმპორტიორზე დაბალ ფასად ყიდდეს?**

მნიშვნელოვანია ასევე საცხებ-საპოხი მასალების პრობლემა, რომელიც, მართალია, მნიშვნელობით საწვავის საკითხის დონისა არ არის, მაგრამ ამ მიმართულებითაც კავშირი საკმაოდ აქტიურ კამპანიებს ატარებს. საქმე ის არის, რომ ამ სფეროშიც საკმაოდ ხშირია მომხმარებელთა მოტყუება, რაც იმით გამოიხატება, რომ, ვთქვათ, მანქანის ძრავაში მაღალი ხარისხის ზეთის ფასად დაბალი ხარისხისას უსხამენ. უბედურება ისაა, რომ ამ ბაზარზე მდგომარეობა ძალიან არასახარბიელოა, მომხმარებელი კი სრულიად დაუცველი. **არავის მოვერიდები და პირდაპირ ვიტყვი, რომ მომხმარებელს ამ მხრივ უსინდისოდ ატყუებენ ელიავას ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოპროფილაქტორიუმების 80 პროცენტში (!). არავინ დავობს იმის თაობაზე, რომ ბაზარზე იაფიანი საპოხი მასალები არ უნდა იყოს, მაგრამ მთავარი მომენტი ისაა, რომ ნებისმიერი მარკის მასალა სტანდარტს უნდა შეესაბამებოდეს.** ეს სერიოზული პრობლემაა, რომელსაც აუცილებლად სათანადო მიხედვა უნდა.

ახლა რაც შეეხება მთავარს, საწვავის ფასების საკითხს. უნდა გითხრათ, რომ კავშირის ვებ-საიტზე (Oilnews.ge) ყოველდღიურად ვაქვეყნებთ საწვავის საერთაშორისო (ვთქვათ, PLATZ-ის) ფასებს, რომლებითაც იმპორტიორები მას ყიდულობენ. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის საჯარო ინფორმაცია, თავად PLATZ-ის წარმომადგენლები გვეუბნებიან — მას ნუ გამოაქვეყნებთო. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვაკეთებთ ამას, რათა საზოგადოებრიობა სათანადოდ ინფორმირებული იყოს. განმარტებისთვის ვიტყვი, რომ PLATZ-ი — ესაა ერთი ტონა რომელიმე სახეობის საწვავის საერთაშორისო ფასი. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ნედლი ნავთობის ფასის დინამიკა ჩვენთვის იმდენად საინტერესო და მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც თავად საწვავის. ნავთობის ფასმა, შესაძლოა, აიწიოს ან დაიწიოს, მაგრამ ჩვენს ამოსავალ წერტილს PLATZ-ი წარმოადგენს.

აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, რომ საწვავის ფასებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო შესყიდვების დროს, როცა საქმე, ვთქვათ, დროის საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კონკრეტული მომხმარებლისთვის მისი დიდი პარტიების მიწოდებას ეხება. საქმე ის არის, რომ, ვთქვათ, კონტრაქტის გაფორმების მომენტისთვის საწვავის ფასი ერთი იყოს, მაგრამ შემდგომ იგი გაძვირდეს და კომპანიამ, ამის გამო, ზარალით იმუშაოს, თუმცა, ცხადია, შესაძლოა, საპირისპიროც მოხდეს.

აქვე არ შემიძლია გვერდი ავუარო იმას, რომ **საკმაოდ ხშირად ზოგიერთი მომხმარებელი, ასევე ჟურნალისტი, საწვავის ფასზე მსჯელობისას ან არასწორი მონაცემებით ოპერირებს, ანდა მას არასწორად ანგარიშობს და, შესაბამისად, მცდარი დასკვნები გამოაქვს. საიმისოდ კი, რომ საწვავის ფასი სწორად დავიანგარიშოთ, თავდაპირველად მისი საერთაშორისო ფასი, კუთრი წონა (ეს კი იმას ნიშნავს, რომ ათას კილოგრამ საწვავში, შესაძლოა, 1300-1350 ლიტრი იყოს, და არა 1500 ლიტრი, როგორც ამას ზოგჯერ ანგარიშობენ!), ტრანსპორტირების ხარჯი, სხვადასხვა გადასახადების ოდენობაც ზუსტად უნდა ვიცოდეთ. სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო: საწვავის ფასის გაანგარიშებას გარკვეული სპეციფიკა ახლავს, თანაც ყველა ციფრი ზუსტი უნდა იყოს. ამასთან, თუკი ვინმეს ეჭვი ეპარება დადგენილ ფასებში, ნებისმიერ დროს მზად ვართ ამ საკითხის განსახილველად, მათ შორის საჯაროდაც, ვთქვათ, ტელევიზიით.**

ისე, გულახდილად რომ გითხრათ, სულაც არ არის ახალი ამბავი, რომ ყველა კომპანიას, ამ შემთხვევაში ნავთობის იმპორტიორს, პროდუქციის რეალიზების შედეგად რენტაბელობის უზრუნველყოფა, მეტი მოგებით მეტი დივიდენდების მიღება, საკუთარი ინფრასტრუქტურის განვითარება, უკეთესი სარეკლამო კამპანიის გამართვა არ სურდეს, რაც, ცხადია, სოლიდურ ფინანსურ სახსრებს საჭიროებს. ახალს არაფერს ვიტყვი თუ აღვნიშნავ, რომ **ნებისმიერი კომპანია რაც შეიძლება მეტი პროდუქციის გაყიდვას ცდილობს, მაგრამ ამავე დროს, მარტო თავისი ნება-სურვილით საქონელს ფასს ვერ დაადებს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ტრადიციულ საავტომობილო საწვავს დღესდღეობით დიდ კონკურენციას ავტოგაზი უწევს, რომელზე მანქანის გადაყვანას, მართალია, თავდაპირველად გარკვეული თანხა სჭირდება, მაგრამ დანახარჯი მალევე ანაზღაურდება იმით, რომ იგი დიზელის საწვავზე და ბენზინზე ორჯერ და მეტად იაფი ღირს. ამდენად, ეჭვს ნურავინ შეიტანს თეზისში, რომ საწვავის ფასს სამომხმარებლო ბაზარი არეგულირებს.**

კიდევ ერთი გარემოება ისაა, რომ საწვავის ფასი რეალურად ინფლაციურ პროცესებზე სერიოზულად მოქმედებს და, ფაქტობრივად, უკლებლივ ყველა სხვა სახეობის პროდუქციის, მათ შორის სასურსათოს გაძვირებას იწვევს. აქედან გამომდინარე, საწვავის ფასის უმიზეზოდ და უკონტროლოდ მომატების შემთხვევაში, ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანიები ინფლაციური პროცესების წამახალისებელთა როლს შეასრულებენ. გარწმუნებთ, რომ **საქართველოს ბაზარზე მოქმედი იმპორტიორი კომპანიები ამაზე წამსვლელები და სახელმწიფოსათვის ამ გზით საბოტაჟის მომწყობნი არანაირად არ არიან.**

ხშირად გაიგონებთ არგუმენტს — აზერბაიჯანში ლიტრი ბენზინი ლარის შესაბამისად ღირს და ჩვენც ხომ მისი მეზობელი ვართ, მაშ ჩვენთან რატომ ღირს ორჯერ და მეტად ძვირიო? **აზერბაიჯანში ბენზინი იაფი იმიტომაა, რომ ქვეყანას ნავთობი საკუთრივ აქვს, მეორეც ის, რომ იაფი თავიანთი მომხმარებლისთვის და სტუმრებისთვის აქვს, თანაც ამ დაბალ ფასს დოტაციების მეშვეობით ინარჩუნებს, მაგრამ როცა საწვავის ექსპორტს ეწევა, ქვეყანა მას სულ სხვა ფასად ყიდის, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მრავალი გადასახადი, მათ შორის აქციზის გადასახადიც ემატება, რაც საწვავის სამომხმარებლო ფასს, ბუნებრივია, ზრდის.**

ამასთან, კარგად მესმის საწვავის ფასებით მომხმარებელთა უკმაყოფილება, რაც განსაკუთრებით ბოლო დროს იჩენს თავს, იმიტომ, რომ სიძვირე პირდაპირ „ურტყამს“ საოჯახო ბიუჯეტებს. ამის მიზეზი ისაა, რომ რუსეთშიც, ევროკავშირის ქვეყნებშიც კი საწვავის ფასები მართალია მცირედით, მაგრამ მაინც დაბალია. ამ გარემოებას ხშირად სხვადასხვა პოლიტიკური ძალები გარკვეული მიზნების მისაღწევად იყენებენ და იმის თაობაზე ლაპარაკი, რომ საწვავი ჩვენში ბევრად იაფი უნდა ღირდეს, მერწმუნეთ, მოსახლეობის უკმაყოფილების პროვოცირებას ისახავს მიზნად.

ბატონ ვანო მთვრალაშვილის თქმით, ნავთობპროდუქტების იმპორტიორი კომპანიების მოგების მარჟა დღესდღეობით ძალიან მცირეა. ამასთან, გასათვალისწინებელია მათი ხარჯი და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, სოციალურ პროექტთა განხორციელებასთან და მოღვაწეობის სხვა ასპექტთან დაკავშირებული კიდევ მრავალი ხარჯი. არც საკუთარი მოგების მიღების უმძლავრესი მამოძრავებელი ძალაა „ანგარიშიდან ჩამოსაგდები“ და ყოველივე ამას, მისი თქმით, ობიექტური მიდგომა სჭირდება.

— რაც შეეხება საწვავის ფასების მატება-კლებას, ბოლო თვეების განმავლობაში ასეთი რხევა, თუ არ ვცდები, რვაჯერ იყო, მათ შორის ბოლო 22-23 აგვისტოს, — განაგრძობს კავშირის ხელმძღვანელი. — თქვენ ამბობთ, რომ ჩვენში საწვავის ფასები, ფაქტობრივად, მყისიერად მატულობს, თანაც ყველა იმპორტიორის ქსელში ერთდროულად. ახლა მე გკითხავთ: რას ნიშნავს „მყისიერად“ მატულობს? გარწმუნებთ, რომ ასე არ ხდება, რომ ერთ დღეს ვიღაცამ პახმელიაზე გაიღვიძოს და თქვას — მოდი დღეიდან საწვავის ფასს მოვუმატებ. კარგად მესმის თქვენი — თქვენ ხედავთ, რომ საწვავის ფასი რაღაც მომენტში იმატებს, მაშასადამე საქმე კარტელურ გარიგებასთან გვაქვს. მაგრამ, სრული პასუხისმგებლობით უნდა გითხრათ, რომ **უცაბედად ეს არასდროს ხდება, ჩვენში საწვავის ფასი მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასის მატებიდან მხოლოდ გარკვეული პერიოდის შემდეგ იზრდება.** ამის დასტურად უამრავი სტატისტიკური მასალა მოგვეპოვება.

ამასთან, უნდა ვაღიარო, რომ **საკმაოდ ხშირად ყოფილა ისიც, რომ რომელიმე კონკრეტულ ნავთობპროდუქტების იმპორტიორ კომპანიას საწვავის ფასის მომატება არ ეკუთვნოდა, მაგრამ ხელმძღვანელობამ ეს ნაბიჯი მაინც გადადგა, რის შედეგად მეტი მოგება ნახა. ეს ობიექტური რეალობაა, და, სამწუხაროდ, ყველა ქვეყანაში ხდება ხოლმე ასე.** ზოგიერთი კომპანია ამას იმიტომ აკეთებს, რომ ნავთობპროდუქტების ფასი პროგნოზით უნდა გაიზარდოს, მას კი იმის ფინანსური შესაძლებლობა არ აქვს იმდენი პროდუქცია შეიძინოს, რომ გაყიდვების ძველი დონე მაინც შეინარჩუნოს, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ბაზრის უკვე დაკავებული სეგმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაკარგოს, ამიტომაც საწვავის საცალო ფასს ზრდის. ამასთან, ის გარემოებაც ხომ არის, რომ კომპანიამ საწვავს ფასი კი მოუმატა და ამ გაზრდილ ფასადაც საწვავი მაინც ეყიდება კონკურენციის მიუხედავად?! ჰოდა, რატომ გვიკვირს, რომ იგი დამატებითი მოგების მიღებაზე უარს არ ამბობს? სიტუაციის საილუსტრაციოდ თუნდაც აგრარული ბაზარი ავიღოთ: იქაც ერთი და იგივე საქონელი, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე ფასად იყიდება, თუმცა არის განსხვავებებიც, მაგრამ ამ შემთხვევაში კარტელურ გარიგებაზე არავინ ლაპარაკობს!

საზღვარგარეთის ბაზრები რომ მრმოვიხილოთ, საწვავის ფასები, ფაქტობრივად, ყველგან ერთნაირია და იქაც დაახლოებით ერთსა და იმავე დროის მონაკვეთში იცვლება. ვფიქრობ, ეს არ არის დიდად საგანგაშო გარემოება — **შედარებით მცირე რეგიონებში კომპაქტურ ბაზრებში ნებისმიერი სახეობის ერთნაირი ხარისხის საქონლის ფასი ერთ დონეზეა. გავიმეორებ: იკითხავთ, რატომ უმატებს კონკრეტული კომპანია ფასს? გიპასუხებთ: იმიტომ, რომ საქონელი იმ ფასადაც იყიდება! არანაირად არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენში საწვავის მაღალი ფასები კარტელური გარიგების რაღაც ნაწილია.** კომპანიები ერთმანეთს მუდმივად თვალყურს ადევნებენ, როცა დაინახავენ, რომ კონკურენტმა ფასები გაზარდა, შეიძლება რაღაც ხანი დააყოვნონ, მერე ისინიც მოუმატებენ. თუმცა აქვე იმასაც გეტყვით, რომ **ჩვენთან ერთი შემთხვევაც არ ყოფილა, რომ საერთაშორისო ბაზარზე ნავთობპროდუქტები არ გაძვირებულიყო და რომელიმე იმპორტიორს ფასი ისე აეწიოს.**

ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავკაცის თქმით, კავშირს (და არც სხვას) იმის უფლება არა აქვს კომპანიებს პროდუქციის ფასი უკარნახოს. ამის გაკეთების კანონიერი უფლება არავის აქვს, ფასებს საბაზრო ურთიერთობები მოთხოვნა-მიწოდება-მოხმარება არეგულირებენ. თანაც მნიშვნელოვანი მომენტი ასევე ისიც არის, რომ როცა მსხვილი იმპორტიორი ნავთობკომპანიების ავტოგასამართი სადგურების ქსელზეა ლაპარაკი, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სხვადასხვა სადგურის მომგებიანობა განსხვავებულია, ზოგი, შესაძლოა, ზარალიანიც იყოს, ამიტომ ისინი ერთმანეთს გარკვეულწილად ავსებენ, რის მექანიზმი კომპანიების მიერ ფასების რეგულირებაა.

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, ბატონ ვანო მთვრალაშვილის თქმით, შიდა ბაზარზე ნავთობპროდუქტების მიწოდებასთან და ფასებთან დაკავშირებით კიდევ მთელი რიგი სხვა პრობლემაც არსებობს, რომელიც, ასე ვთქვათ, გარედან არც ჩანს. მაგალითად, ბოლო დროს (განსაკუთრებით ზაფხულში, სეზონის პიკზე) აზერბაიჯანიდან შემოზიდვების მნიშვნელოვანი შეფერხებები იყო. თუ კომპანიების მიერ ფასების თავის ნებაზე მატების აზრს გავიზიარებთ, მაშინ, ლოგიკით, ფასები აგვისტოშიც უნდა გაზრდილიყო, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა...

— იმას კი არ ვამბობ, რომ ნავთობპროდუქტების იმპორტიორები „ანგელოზები“ არიან. ყველა მათგანი, პირველ ყოვლისა, მოგებაზეა ორიენტირებული, მაგრამ ეს ისეთი მოგებაა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას კი არ დაამუხრუჭებს, არამედ პირიქით, ხელს შეუწყობს მის განვითარებას, — ამ მაჟორულ ნოტაზე დაასრულა ბატონმა ვანო მთვრალაშვილმა ჩვენი საკმაოდ ხანგრძლივი და არცთუ მარტივი საუბარი და მისი ამ განწყობის გაზიარება გულით მინდა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ საკითხზე ლაპარაკი მომავალში აუცილებლად გვექნება, აქვე ერთი შენიშვნა მაინც მინდა გამოვთქვა.

საუბარში რამდენჯერმე გაიჟღერა აზრმა, რომ საწვავის ხარისხზე, ფასებსა და ზოგიერთ სხვა ასპექტზე კონტროლი კავშირის ფუნქცია არ არის. კი ბატონო, საწვავის (სხვათა შორის, საცხებ-საპოხი მასალების) ხარისხის მონიტორინგზე პასუხისმგებელი სხვა, კომპეტენტური ორგანოები არსებობენ, რომლებმაც სფეროში წესრიგი უნდა უზრუნველყონ. რაც შეეხება ფასების დადგენას, ზოგჯერ მათ „თავისუფალ რეჟიმში“ მატებას, ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ქმედითი ანტიმონოპოლური კანონმდებლობა უნდა არეგულირებდეს, რომელიც ქვეყანაში დიდი ხანია არ არის ისევე, როგორც აღარ არსებობს სათანადო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო. არადა, გამართული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა ეროვნული ეკონომიკის უკლებლივ ყველა სფეროს ჰაერივით სჭირდება, ვინაიდან მის გარეშე არანაირ „თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებსა“ და „თანაბარ კონკურენტუნარიან გარემოზე“ ლაპარაკი არ შეიძლება. ამის დასტურად თუნდაც რამდენიმე ადგილობრივ ბაზარზე სადღეისოდ მოქმედი კომპანიების ჩამონათვალიც კმარა. კერძოდ, ნავთობპროდუქტების ბაზარს ხუთი კომპანია — „სოკარი“, „ვისოლი“, „ლუკოილი“, „ეკოჯორჯია“ და „რომპეტროლი“ აკონტროლებს, ფარმაცევტული პროდუქციის ბაზარს — სამი: „ავერსი“, PSP და GPS, წყალმომარაგების — GWP, ენერგობაზარს — თელასი, გაზის — ყაზტრანსგაზი.

განა ესენი მონოპოლისტები არ არიან?!

ოთარ ტურაბელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

◎ კვალი დროში

# დიდი პროფესიონალი

დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა გამოჩენილ პროფესიონალს, ნამდვილ მამულიშვილს და პატრიოტს, გამორჩეულ საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს ენერგეტიკისა და საინჟინრო აკადემიების ნამდვილ წევრს, საქმის უზადო ორგანიზატორს, ბატონ **იური ჭედიას**.

დაიბადა 1931 წლის 6 ოქტომბერს ბათუმში. იქვე წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის ასევე წარჩინებით დამთავრების შემდეგ დაიწყო მისი რთული და სიძნელეებით აღსავსე, მაგრამ წარმატებული კარიერა.



იური ჭედიას მიერ განვლილი გზა ბუღუჰესის მორიგე ინჟინრიდან საქენერგოს გენერალურ დირექტორამდე ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდე შენ დარგსა და სამშობლოს.

1958 წელს, როგორც წარმატებული ინჟინერი, იური ჭედია გადაიყვანეს თბილისში საქართველოს ენერგოსისტემის ავარიული ინსპექციის ინჟინრად, შემდეგ ამავე ინსპექციის უფროსად.

ნიჭიერმა, განათლებულმა და მაღალი პროფესიონალიზმით გამორჩეულმა სპეციალისტმა მალე გაიარა სამეურნეო მოღვაწეობის იერარქიული გზა და დარგის ღირსეული ხელმძღვანელი გახდა.

1961 წელს დაინიშნა ჩითახევჰესის დირექტორად, 1971 წელს ხრამჰესების კასკადის დირექტორად. 1971 წელს გადაჰყავთ მშენებარე ენგურჰესის დირექციის დირექტორად. 1974 წლიდან „საქმთავარენერგოს" უფროსის მოადგილეა, ხოლო 1979 წლიდან „საქმთავარენერგოს" უფროსი. ამ თანამდებობაზე იმუშავა 1991 წლამდე. იყო მრავალი მნიშვნელოვანი წამოწყების ავტორი. მისი ინიციატივით დამუშავდა „საქართველოს ენერგეტიკული პროგრამა". დიდი ყურადღება დაეთმო ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის საკითხებს, ენგურისა და ჟინვალის ჰესების მშენებლობის დროულად დასრულებას, თბილსრესის, რიგი ჰიდროელექტროსადგურების და ელექტრული ქსელების აღდგენა-რეკონსტრუქციას, მცირე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას. ბატონი იურის დაუღალავი შრომისა და მცდელობის შედეგად ამ პერიოდში დაპროექტდა და აშენდა ენერგოსისტემისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორიცაა საქართველო-რუსეთის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი ზემაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი", საქართველო-აზერბაიჯანის ენერგოსისტემების დამაკავშირებელი ზემაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „მუხრანი" და სხვა. დაპროექტდა და დაიწყო ზემაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების „თბილსრესი-ახალციხე-ზესტაფონის" (ახალციხიდან თურქეთზე გასვლის გათვალისწინებით) და „ენგურჰესი-ზესტაფონის" მშენებლობა. განხორციელდა თბილსრესის გაფართოება 300 მეგავატი სიმძლავრის ახალი თაობის ენერგობლოკებით, ტყვარჩელსრესის მოძველებული აგრეგატების გაზზე მომუშავე ახალი ენერგობლოკებით ჩანაცვლება. პრაქტიკულად გადაიჭრა სოფლის ელექტრიფიკაციის პრობლემა.

„საქმთავარენერგოს" უფროსად იური ჭედიას მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში ელექტროენერგიის წლიურმა წარმოებამ 15 მილიარდ კილოვატსაათს გადააჭარბა, ხოლო მოხმარებამ 18 მილიარდ კილოვატსაათს.

იური ჭედია დიდ ყურადღებას აქცევდა კადრების მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. სწორედ მისი ინიციატივით, ენერგეტიკის საკავშირო სამინისტროს ფინანსირებით აიგო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტის სასწავლო კორპუსი. იგი ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქენერგოში დასაქმებული პერსონალის სოციალური საკითხების მოგვარებას. მაგალითად, თუ თბილისში ბინის მიმღებთა რიგი 25 წელს აჭარბებდა, საქენერგოში ასეთი რიგი სულ 2 წლით შემოიფარგლებოდა.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ენერგოსისტემაში სერიოზული პრობლემების წამოჭრის შემთხვევებში, ბატონი იური, როგორც დიდი პროფესიონალი, პირადად ხელმძღვანელობდა მათ გადაჭრას.

1993-94 წლებში ბატონი იური დეპარტამენტ „საქენერგოს" უფროსია. მისი ინიციატივით ამ პერიოდში ახალი რეალობების გათვალისწინებით დამუშავდა „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების კონცეფცია", რომელმაც გაიმარჯვა საქართველოს საინჟინრო აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში. კონცეფცია ითვალისწინებდა როგორც ტრადიციული (დიდი და საშუალო სიმძლავრის ჰიდრო და თბოელექტროსადგურების), ასევე ალტერნატიული (მცირე ჰესები, ქარისა, მზისა და თერმალური წყლების) ენერგეტიკის წინმსწრები ტემპებით განვითარებას, რათა ენერგეტიკა ეკონომიკის ნებისმიერი ტემპებით განვითარებას მომზადებული შეხვედროდა და არ დაემუხრუჭებინა იგი. სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იძულებული გახდა 1994 წლიდან ჩამოშორებოდა მის სისხლხორცეულ მოღვაწეობას და კერძო სექტორში გაეგრძელებინა საქმიანობა.

ბატონი იური არის მრავალი სამეცნიერო-ტექნიკური წინადადების, გამოგონების ავტორი. არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. არის საქართველოს ენერგეტიკის აკადემიისა და საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი. მიღებული აქვს საკავშირო და რესპუბლიკური სიგელები. მინიჭებული აქვს „საქართველოს დამსახურებული ინჟინრის" წოდება. დაჯილდოებულია სახელმწიფო ჯილდოებით – ორდენებითა და მედლებით.

**ბატონო იური, სულითა და გულით გილოცავთ 80 წლის შესრულებას, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას თქვენს საყვარელ ოჯახთან ერთად.**

**კოლეგები
და მეგობრები**

◎ მეგობრებთან



# როშ ჰაშანა
## ებრაულ სათემო სახლში

**ებრაული კალენდრით ახალი წელი – როშ ჰაშანა სექტემბერში იწყება. წლეულს ებრაულმა სამყარომ 5772 წლის შემობრძანება 29-ში აღნიშნა.**

მთელი მსოფლიო ახალ წელს ზეიმით და დროსტარებით ეგებება. ებრაელები კი როშ ჰაშანას განსჯითა და ლოცვით იწყებენ. მონანიების ათი დღე – როშ ჰაშანიდან იომ ქიფურამდე, ებრაელებისათვის სულიერი განწმენდის, დაფიქრების პერიოდია. ის გადახედავს განვლილი წლის ნამოქმედარს, შენდობას ევედრება გამჩენს და პატიებას თხოვს ვისაც კი ოდესმე აწყენინა, რომ ახალი წელი „სუფთა ფურცლიდან" დაიწყოს.

ებრაელები ასე ამბობენ: „როშ ჰაშანის დღეებში სიცოცხლის წიგნში ჩაიწერება თუ რა ბედი გველოდება დამდეგ წელს, ვინ უნდა იცოცხლოს და ვინ აღესრულება, ვინ ამაღლდება და ვინ დაეცემა, ვის დაებედება სიღარიბე და ვის სიმდიდრე..." ამიტომაც ებრაელები ერთმანეთს უსურვებენ ზეციური ცხოვრების წიგნში ბედნიერად ჩაწერას.

როშ ჰაშანის დღეები საქართველოშიც აღინიშნა. აქ მცხოვრები ხუთი ათასამდე ებრაელი ძირითადად საკუთარ ოჯახში შეხვდა ახალ წელს. თუმცა, თბილისის ებრაულ სათემო სახლში გამართულ საღამოს მაინც სხვა ელფერი დაჰკრავდა.

თბილისის ებრაული სათემო სახლი (დირექტორი რევაზ შათაშვილი), თავისი არსებობის რვა წლის მანძილზე წარმატებით ახორციელებს „ჯოინთის" პროგრამებს სოციალურ, კულტურულ, საგანმანათლებლო, საქველმოქმედო, რელიგიურ, ახალგაზრდულ და სხვა სფეროში, რითაც ხელს უწყობს ებრაული თემის განვითარებას და ქართველი ებრაელების მსოფლიო ებრაელობასთან ინტეგრაციას.

როშ ჰაშანა ებრაულმა ხალხმა ებრაელთა კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდთან (დირექტორი ელენე ბერკოვიჩი) და კლუბ „26 საუკუნესთან" (ხელმძღვანელი ზაირა დავარაშვილი) ერთად აღნიშნა.

ქალბატონმა ზაირა დავარაშვილმა, მისთვის დამახასიათებელი საინტერესო მიმოხილვით, მოწვეულ სტუმრებს გააცნო ის მრავალფეროვანი პროგრამა, რომლითაც როშ ჰაშანის საღამო იყო დატვირთული.

დამსწრეთ დღესასწაული მიულოცეს და როშ ჰაშანის დღეების მნიშვნელობაზე ისაუბრეს საქართველოს მთავარი რაბინის მოვალეობის შემსრულებელმა რავ ავიმელეს როზენბლატმა, „ჯოინთის" წარმომადგენელმა საქართველოში ზოჰარ დავიდმა, თბილისის ებრაული სათემო სახლის დირექტორმა რევაზ შათაშვილმა, ებრაული სააგენტო ისრაელისათვის წარმომადგენელმა საქართველოში ავი ოფირმა, აკადემიკოსმა გურამ პაატაშვილმა, რადიო „ჯაკოს" დამფუძნებელმა, სპორტულმა კომენტატორმა ჯამლეთ ხუხაშვილმა, ებრაელი ხალხის დიდმა მეგობარმა თამარ მახარაშვილმა, ვირტუოზმა გიტარისტმა თემურ ყვითელაშვილმა და სხვ.

ებრაულმა სახლმა არც ამჯერად უღალატა ტრადიციას და წელს ეროვნული გამოცდებით უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული ახალგაზრდები მოიწვია. ქალბატონმა ზაირამ სტუდენტებს ყვავილებთან ერთად ელდარ მამისთვალიშვილის წიგნი „ქართველ ებრაელთა ისტორია" გადასცა. ახალგაზრდები დალოცა ქალბატონმა ნათელა პატარკაციშვილმა.

მონიტორზე ცნობილი მსახიობი და რეჟისორი დავით ხუბელაშვილი გამოჩნდა, რომელმაც შესანიშნავად წაიკითხა სიმხა ადარის ლექსი „რა ხალხი ვყოფილვართ".

ზაირა დავარაშვილმა ისრაელში მცხოვრებ ცნობილ პოეტსა და ჟურნალისტს სულო სეფიაშვილს დაბადებიდან 60 წლის იუბილე მიულოცა.

დარბაზი ოვაციებით შეხვდა პროექტ „ნიჭიერის" ფინალისტს – დათიკაშვილების ოჯახს.

მიუხედავად სადღესასწაულო დღეებისა პროგრამის ერთი გვერდი ხსოვნას დაეთმო, სადაც ისრაელში ახლახან გარდაცვლილი პროფესორი შალვა ცივიონი-წიწუაშვილი გაიხსენეს.

საღამოს დამთავრების შემდეგ ყველას საჩუქრად გადაეცა ებრაული კალენდარი და ორი ბროშურა: „როშ ჰაშანა" და „იომ ქიფური", რომლებიც შეადგინეს ზაირა დავარაშვილმა, ნანა იოსებაშვილმა და იულია მიქაძემ.

ვულოცავთ ქართველ ებრაელებს, მთელ ებრაულ სამყაროს როშ ჰაშანას!

**ლეილა ნოდია,**

**სურათზე:** შეხვედრის დროს.

◎ ინფორმაცია

## სეპარატისტებმა დევნილების დაბრუნების თემის განხილვაზე უარი განაცხადეს

ჟენევაში მყოფმა აფხაზ და ოს სეპარატისტთა დელეგაციებმა, მოლაპარაკებებზე დევნილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების საკუთარ სახლებში დაბრუნების თემის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს. განცხადება ამის შესახებ ჟენევის მოლაპარაკებებზე რუსული დელეგაციის ხელმძღვანელმა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა გააკეთა.

– ჯერ კიდევ ახლახანს ნიუ-იორკში გამართული კენჭისყრის დროს, რომელიც გაეროს გენერალურ ასამბლეაზე ამ თემაზე გაიმართა აფხაზურმა და ოსურმა დელეგაციებმა გარკვევით განაცხადეს, რომ არ არიან თანახმა ეს თემა პარალელურად ორ ადგილას ჟენევაში და ნიუ-იორკში განიხილებოდეს, – განაცხადა კარასინმა. მისივე თქმით, აფხაზური და ოსური დელეგაციების პოზიცია „აბსოლუტურად ლოგიკურია, ვინაიდან დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე ეფექტური მოედანი ამ თემის განსახილველად არის ჟენევა, სადაც განხილვაში სამივე მხარე მონაწილეობს".

– სოხუმსა და ცხინვალს არ აწყობს ის, რომ ქართული მხარე ამ თემას ნიუ-იორკში განიხილავს სადაც მათ მონაწილეობის მიღებისა და თავისი პოზიციის გამოხატვის საშუალება არ აქვთ, ვინაიდან მათ აშშ ვიზებს არ აძლევს, – განაცხადა კარასინმა.

## ბათუმში ჩინური სახლი აშენდება

ბათუმში ჩინური სახლის აშენება იგეგმება, რომელსაც მუზეუმის დატვირთვა ექნება. ჩინური სახლი აჭარაში ჩინური მხარის დაფინანსებით აიგება და მასში აჭარაში მოღვაწე ცნობილი ჩინელი მეჩაიეს ლაო ჯონ ჯაოს პირადი ნივთები და ჩინური ყოფის ამსახველი ნივთები გამოიფინება.

ბათუმში ჩინური სახლის აშენების შესახებ გადაწყვეტილება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩს საქართველოში ჩენ ძიენფუს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან გია აბულაძესთან შეხვედრისას გადაწყდა.

შეხვედრაზე მხარეებმა განათლებისა და კულტურის სფეროში თანამშრომლობასა და ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე ისაუბრეს. დაიგეგმა სტუდენტთა სტაჟირება და ლექტორ-მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამები ჩინეთში. როგორც გია აბულაძემ აღნიშნა მოსახლეობის მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლოა, მალე ჩინური ენის სწავლების კურსებიც ამოქმედდეს.

ХО-ЭОВ-ЭБО

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შუღლი საცალოდ და ცალ-ცალკე

## ხელისუფლებამ მოისმინა ეროვნული საკითხი. რას უპასუხებს?

**რუსეთში ეროვნებათშორის ურთიერთობათა პრობლემა – ერთ-ერთი ყველაზე რთულია განხილვისთვის, მაგრამ იგი უკვე ერთ-ერთი ყველაზე საგანგაშოცაა. ზოგიერთი პოლიტიკოსი სწავლობს მას და საუბრობს მის შესახებ არჩევნების დროს, უფრო ნაკლებად „გაბედულები" ჩნდებიან მოგვიანებით.**

იმის შესახებ, თუ რამდენად მყისიერია და რამდენად ხშირად „ირყევა" ეროვნებათშორისი მშვიდობა, ჩვენი გაზეთი წერს რეგულარულად. შეშფოთებისთვის ახალი საბაბი გახდა მთავრობის გეგმები, ებრძოლოს შრომითი რესურსების შემცირებას მილიონობით ახალი გასტერბაიტერების დახმარებით. მაგრამ ყველაზე ნათელ და მტკივნეულ „ეროვნებათშორის ნაპერწკალს" გამოკვეთავენ ჯერჯერობით არა მიგრანტები, ეს ნაპერწკალი გამოჩნდება ხოლმე რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიან მოქალაქეებს შორის. დანაშაულობანი ჩრდილოეთი კავკასიის რესპუბლიკებიდან გამოსულთა მონაწილეობით დიდ ემოციებს იწვევს. შარშან ფეხბურთის გულშემატკივრის ეგორ სვირიდოვის მკვლელობა იქცა საბაბად კრემლის კედლებთან გამოსვლისთვის. სხვათა შორის, ამ დღეებში სასამართლოზე იმ გულშემატკივრების საქმესთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ლინგვისტური ექსპერტიზის შედეგები. მაგალითად, საქმის ერთ-ერთი ფიგურანტისადმი მიკუთვნებული ფრაზა „მე რუსი ადამიანი ვარ" აღიარებული იქნა მაინც ნეიტრალურად. აი, ლოზუნგი კი „რუსებო, წინ!" უკვე შეიცავდა „მოწოდებების ნიშნებს აქტიური მოქმედებებისკენ სამართალდაცვის ორგანოების თანამშრომელთა წინააღმდეგ".

### რუსებო - გაუძელით?

„რაც აუცილებელია, ზუსტად გამოვრიცხოთ საარჩევნო კამპანიის პერიოდში – ეს არის მცდელობა გავაღვივოთ ეროვნებათშორისი, ეთნოსთაშორისი მტრობა..." – აფრთხილებდა პარტიის ლიდერებს პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი. სხვათა შორის, გასულ სექტემბერში იაროსლავლში პოლიტიკურ ფორუმზე პრეზიდენტმა დაადასტურა, რომ პრობლემა არსებობს: „რუსების ტრადიციული ცხოვრების ადგილებზე ჩნდება კავკასიიდან მოსული ჩვენი მოქალაქეების დიდი ოდენობა, კავკასიის რესპუბლიკების რუს მოსახლეობას კი ხოცავენ. ამას მივყავართ ერთი რეგიონების ეთნიკურ, ეთნოკულტურულ დახშულობასთან და ეროვნებათშორის ნიადაგზე წარმოქმნილ დაპირისპირებამდე სხვა რეგიონებში. სიღარიბე ძლიერი კატალიზატორი ხდება ეროვნებათშორის დაპირისპირებაში..."



ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოსვლა იმავე ფორუმზე იყო ნატოსთან ამჟამინდელი მუდმივი წარმომადგენლის დიმიტრი როგოზინის სიტყვა, რომელიც, ცხადია, ბრუნდება რუსეთის პოლიტიკაში. „თქვენ ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ დაძაბულობის დონე სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად: რუსეთის მოქალაქეებს 50-დან 75 პროცენტამდე სურთ ჩრდილოეთი კავკასიის გამოყოფა, – განაცხადა როგოზინმა. – და ეს უკიდურესად სახიფათო ტენდენციაა, რაც ქვეყნის დაშლას ისახავს მიზნად... დაპირისპირების მიზეზები ცნობილია: ჯერ კიდევ ელცინის დროიდან ცალკეული ეროვნული რესპუბლიკის ფორმალური და ფაქტობრივი სტატუსი უფრო მაღალია, ვიდრე თავად რუსეთის რეგიონებისა. ამ რესპუბლიკებს აქვთ პრეფერენციები და შეღავათები. ამ დროს ამ რესპუბლიკებიდან გამოსულები საკმაოდ ხშირად ავლენენ უპატივცემლობას რუსეთის ცენტრალური მეგაპოლისების მცხოვრებლებისადმი, დემონსტრაციულად არღვევენ რუსულ კულტურულ სტანდარტებსა და საზოგადოდ მიღებული ქცევის ნორმებს... რუსებმა იგრძნეს, რომ რუსეთში იმყოფებიან სოციალურად და ეთნიკურად დისკრიმინირებული უმრავლესობის მდგომარეობაში...

„შეტაკებისთვის ნაციონალისტურად განწყობილ ელექტორატთან ემზადება რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიაც, – ამბობს პოლიტიკური და ეკონომიკური კომუნიკაციების სააგენტოს დირექტორი დიმიტრი ორლოვი. – კომუნისტების პროგრამაში არის პუნქტი „რუსული საკითხისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის გადაწყვეტის ამოცანების თანხვედრის შესახებ". იდეას რუსი მოსახლეობის ენის, ცხოვრების წესისა და ტრადიციებისადმი პატივისცემის შესახებ შეიძლება ველოდოთ საერთო რუსული სახალხო ფრონტის „სახალხო პროგრამაშიც". რუსეთში ზომიერი ნაციონალიზმი უკვე წარმოდგენილია პარლამენტში რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ანგარიშში, შეგვახსენებს ორლოვი, თუმცა მას „კარნავალური" ფორმატი აქვს.

### ვისაუბროთ - დავიმალოთ?

„ჩვენ არ მოვითხოვთ მივცეთ პრივილეგიები რუს ხალხს, – განმარტავს რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ვლადიმერ ჟირინოვსკი. – ყველა ხალხი თანაბარია, მაგრამ რუსეთის მთელი ისტორიის მანძილზე სწორედ რუსები აღმოჩნდებოდნენ ხოლმე დისკრიმინაციის ზონაში, დამცირებულ მდგომარეობაში. და ჩვენ გვინდა გამოვასწოროთ სიტუაცია". მაგალითად, რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია მოითხოვს, ჩაიწეროს კონსტიტუციაში რუსი ხალხის განსაკუთრებული როლი, რომ ეს „მნიშვნელოვანია მორალური თვალსაზრისით". ამას გარდა გაუქმდეს სისხლის სამართლის კოდექსის 282-ე მუხლი (ეროვნებათშორისი შუღლის გაჩაღების შესახებ), „რომელსაც დღეს იყენებენ მხოლოდ რუსი პატრიოტების წინააღმდეგ", აგრეთვე დამუშავდეს და მიღებულ იქნეს ერთგვარი კანონი „რუსული ეროვნული თვითმმართველობის შესახებ". სხვა ექსპერტების აზრით, ქვეყნის ტერიტორიაზე ფედერაციის რუსული ეროვნული სუბიექტების შექმნის მცდელობა კიდევ უფრო ძლიერად შეუშლის ხელს ეროვნებათშორის მშვიდობას.

ამ დროს მწერალ გერმან სადულაევის აზრით, კავკასიაში სოციალიზაციის ძირითად ინსტიტუტად რჩება ოჯახი. „უფროსებს დღეს თავად უჭირთ, აუხსნან ახალგაზრდობას, თუ რა გვაერთიანებს ერთ ქვეყნად, ჩვენში ძველებურად არ არის დიდი გამაერთიანებელი იდეა... მაგრამ ზოგიერთი მნიშვნელოვანი რამის შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ რელიგიურ ქადაგებებში, რომელთა ტრანსლაციაც ხშირად ხდება კავკასიურ ტელეარხებზე.

სხვათა შორის, ინგუშეთის ხელმძღვანელის იუნუს-ბეკ ევკუროვის სიტყვებით, რესპუბლიკის მთავრობა ადგილობრივ რელიგიურ მოღვაწეებთან ერთად ამზადებს სხვა რეგიონების ინგუში სტუდენტებისთვის ინსტრუქციებს: როგორ დაიცვან თავიანთი წეს-ჩვეულებანი, რომ არ გამოიწვიონ გარშემომყოფთა გაღიზიანება.

ალექსანდრ ბელოვის სიტყვებით საზოგადოებრივი გაერთიანება „რუსეთიდან", იმ წესებისა და კანონების შესახებ, რომლებიც მოქმედებენ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, კავკასიელ მოზარდებს უნდა ვესაუბროთ სპეციალურ გაკვეთილებზე სკოლებში, კავკასიელებს არ უნდა ჰქონდეთ შეღავათები და პრივილეგიები უნივერსიტეტებში, წესრიგის დარღვევისთვის ისინი უნდა გაირიცხონ სასწავლებლებიდან სხვების მსგავსად.

„ამას გარდა, პასუხისმგებლობა უნდა იკისროს რეგიონალურმა ხელისუფლებამ, – აღნიშნავს ბელოვი. – ასე უკვე მოიქცა ჩეჩნეთის ხელმძღვანელობა. რესპუბლიკიდან გამოსულებზე ახდენენ ზემოქმედებას ნათესავების მეშვეობით, და ინციდენტები ჩეჩნების მონაწილეობით სხვა რეგიონებში საგრძნობლად შემცირდა".

„ქვეყანაში ზნეობრიობის დონის საერთო დაქვეითების დროს მსგავსი რჩევების შესაძლებლობა ოჯახებს, ხელისუფლებასა და რელიგიურ ლიდერებს ახალგაზრდობასთან დაკავშირებით შეზღუდული აქვთ, – შეშფოთებულია მოსკოვის მთავრობასთან არსებული ეროვნებათშორისი პოლიტიკის საკითხების საბჭოს პრეზიდიუმის წევრი დაუდ ხუჩიევი. – ამიტომ დასაწყისისთვის ქვეყნის ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შიში კანონის წინაშე, რასაც განამტკიცებს შურისძიების შეუქცევადობა მისი დარღვევისთვის".

**ალექსანდრ კოლესნიჩენკო**

**АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ**

# რატომ მიისწრაფის აბასი გაეროსკენ?

**გაეროში გამოსვლის დროს პალესტინის ავტონომიის ლიდერმა მოუწოდა აღიარონ ეს ავტონომია ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად. ამდენი წელი ცხოვრობდნენ უღიარებლად. ახლა ეს ხელს აღარ აძლევთ?**

**ლ.პერედრი, ტამბოვი**

– ყველაფერში დამნაშავეა დაპირისპირების გამწვავება პალესტინის ორ ორგანიზაციას – რადიკალურ ჰამასსა და უფრო ზომიერ ფახტს – შორის, – მიაჩნია ახლოაღმოსავლეთის კონფლიქტების ანალიზის ცენტრის დირექტორს ალექსანდრ შუმილინს. – ამ უკანასკნელს უდგას სწორედ სათავეში აბასი, რომელმაც გადაწყვიტა გაეროში ამ დემარშის დახმარებით აიმაღლოს თავისი შერყეული რეიტინგი პალესტინელებს შორის. როგორც ჰამასის ლიდერ ისმაილ ჰამიას, მასაც სურს, გახდეს ერთიანი ლიდერი ავტონომიის ყველა მცხოვრებისთვის. სწორედ შინაბრძოლის ფარგლებში დიდი ხნით ადრე „არაბულ გაზაფხულამდე" (ასე უწოდებენ პოლიტიკოსები ანტისამთავრობო გამოსვლების რიგებს ეგვიპტეში, ტუნისში, ლიბიაში, სირიაში – რედ.) იყო ჩაფიქრებული ეს ნაბიჯი – დაუკაკუნოს გაეროს კარს. და ამავე დროს მიიპყროს საყოველთაო ყურადღება ისრაელზე ზემოქმედებისთვის. შემთხვევითი როდია, რომ ჰამასის ლიდერმა აბასის სიტყვას „ნაკლებ შინაარსიანი" უწოდა.



პერსპექტივები პალესტინის ავტონომიას გაეროში მოხვედრაზე არ აქვს. უშიშროების საბჭო ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობით ამ ნაბიჯს დაბლოკავს, საკითხი დაუბრუნდება გენერალურ ასამბლეას. იქ ხმების უმრავლესობით, ალბათ, მიიღებენ გადაწყვეტილებას მეთვალყურის სტატუსის მინიჭების შესახებ ავტონომიისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრობისთვის.

## დედამიწის ზურგზე



**მეცნიერებმა დაინახეს ყირიმისთვის საშიში კატასტროფა: სანაპიროზე ასობით კასრია საბრძოლო შხამით**

კასრები ჩაძირეს ჯერ კიდევ 1941 წელს საბჭოთა ხელმძღვანელობის განკარგულებით. წლის თანამედროვე სინჯებმა აჩვენეს, რომ ახლა მათ დაიწყეს უკვე ლპობა. მეცნიერები განგაშს სტეხენ: თუნდაც ერთმა კასრმაც რომ დაიწყოს გადინება, კატასტროფას ვერ გადავურჩებით. ამ დროს უკრაინის ხელისუფლება შავ ზღვაში ადამიანის ჯანმრთელობისთვის დამღუპველი ნივთიერებების არსებობას უარყოფს.

* * *

**ობამამ აღიარა, რომ არ სჯერა გამარჯვებისა 2012 წლის არჩევნებში: „მე უიღბლოდ მივაჩნივარ საზოგადოებას"**



როდესაც უპასუხებდა შეკითხვას, მზად არის თუ არა იგი გახდეს „ერთი ვადის პრეზიდენტი", თეთრი სახლის ხელმძღვანელმა თქვა: „ასეთ ეკონომიკურ სიტუაციაში ძნელია უფრო მეტის იმედი გვქონდეს". მისი აზრით, მისმა გუნდმა ვერ შეძლო განეხორციელებინა დაპირებული რეფორმები. ამერიკელთა 55 პროცენტს სურს საქესთან იხილოს რესპუბლიკელი, რაც რუსეთს ამერიკასთან კონფრონტაციით ემუქრება.

* * *

**აშშ-ის დასავლეთში მტვერის ქარიშხალმა სამი დიდი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა გამოიწვია: დაიღუპა ერთი კაცი, კიდევ 16 დაიჭრა**



ყოველ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში ქარისა და მხედველობის დაქვეითების გამო ათობით კერძო ავტომობილი, სატვირთო და უზარმაზარი ავტოფურგონები შეეჯახა ერთმანეთს. დაზარალებულები სასწრაფო დახმარების მანქანებით საავადმყოფოებში გადაჰყავთ.

* * *

**ტალინის მერმა ესტონეთიდან მცხოვრებთა გადინება მეორე მსოფლიო ომის დროს დანაკარგებს შეადარა**

ოფიციალური მონაცემებით, სსრ კავშირის დაშლიდან ესტონეთის მცხოვრებთა ოდენობა 1,5 მილიონიდან 1,3 მილიონამდე შემცირდა, იტყობინება ქალაქის ხელმძღვანელი ედგარ სავისაარი. დაახლოებით 32 ათასმა კაცმა ქვეყანა დატოვა უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში. ახლა მერი ელოდება აღწერას, რომელიც დაადასტურებს მოსახლეობის გაქცევასა და რეგიონის სიცოცხლისუუნარობას.



ვაჟა ჭყონია — ქართული იუმორის დიდი ჭირისუფალი, ქუთაისის კოლორიტი, სიკეთის მთესველი, რჩეული „მოლადავის“ ნიმუში გურიიდან, მეგრული გვარით, იმერული პეწით, „მწარე“ ენით და ნათელი გონებით...

ჭყონი მეგრულად მუხას ნიშნავს. უფალმა ვაჟა ჭყონიას მუხის სიმაგრე და წელთამრავლობა მისცა. როგორც ჩვენი კოლეგა, ცნობილი ჟურნალისტი ალეკო შენგელია ამ „გამჭვირვალე“ იუმორისტის წიგნის („სიცილის კარდიოგრამა“) წინათქმაში წერს — „ვაჟა ჭყონია არა მარტო ჭყონია, არამედ ვაშა ჭყონიაც“, რადგანაც მისი ქუთაისური სიცილნათელები საყოველთაო მოწონებას იმსახურებს.

ვაჟა ჭყონიას „საყოფაცხოვრებო“ და „პოლიტიკური“ იუმორი არ არის ქილიკი და ვისიმე აბუჩად აგდება, ის ნებისმიერი ადამიანისთვის სიცოცხლის ხალისის შემმატებელი, ჯანსაღი განწყობის მიმნიჭებელი და ჯანმრთელობის უებარი წამალია.

წიგნი, რომელიც იპოლიტე ხვიჩიას სახელობის იუმორის ეროვნული აკადემიის (როგორი ძვირფასი მიგნებაა იუმორის ეროვნული აკადემიისთვის ლეგენდარული იპოლიტე ხვიჩიას სახელის მიკუთვნება!) და გაზეთის „სარკმელი საქართველოსი“ ეგიდით გამოიცა, სავსეა მარილიანი, სულის მარგებელი სიცილით. ბუნებრივია, ამ შეჭირვებულ, გაუბედურებულ მაგრამ მაინც „გაბრწყინებულ“ ქვეყანაში ჩვენი გაზეთის მკითხველიც სიამოვნებით გაეცნობა გახითხით-გაკისკისებას იმისას, რაიც ვაჟა ჭყონიას უთქვამს ან მეგობრებისგან მოუსმენია. სხვათა შორის, ვაჟას შესახებაც არაერთი საკისკისო ანეკდოტი მიუძღვნიათ ქუთაისში. ამ წიგნში ორმხრივი ბრძოლა და თავდადებაა წარმოჩენილი... წიგნში გამოყენებულია ცნობილი მხატვრების მურთაზ აბაშიძის, ოთარ ქანდარიას, გივი თოდაძის, ვიტალი საკანდელიძის კარიკატურები. ფოტოები ეკუთვნით ბადრი ვადაჭკორიას და თორნიკე ტურაბელიძეს. კრებული დაიბეჭდა ქველმოქმედ თემურ ძიძიგურის ხელშეწყობით...

რადგანაც წიგნის ტირაჟი შეზღუდულია, მკითხველს ვთხოვ უფრო „მხარგაშლილად“ გაეცნოს ვაჟა ჭყონიას იუმორს და იცინოს ჩვენთან ერთად.

**სპარტაკ ძოზულია**



— კაცო, ასეთი რამე გინახავს? ბიუჯეტის სეკვესტრი ქალებსაც შეხებია.

მურთაზ აბაშიძის ნახატი

### უმოკლესი პასუხი

— დღევანდელ ქალიშვილებზე ორიოდე სიტყვით რას გვეტყოდით? — ჰკითხა კორესპონდენტმა ვაჟას.

— კაბა — მინი, ენა — მაქსი! — მინი კაბასავით მოკლე გამოდგა ვაჟას პასუხი.

### სიხარული

— რა კარგი ყოფილა სკლეროზი, ყოველდღე ახალ ამბავს ვიგებ, — უხარია ვაჟას.

### თანაკლასელებს ელოდნენ

— რატომ აგვიანებენ მიცვალებულის გამოსვენებას? — ჰკითხა 95 წლის მოხუცის გასვენებისას ვაჟამ თავისავით ენაკვიმატ ომარ ქელბაქიანს.

— ჩემო ვაჟა, ეს მეც მაინტერესებდა, ვიკითხე და მითხრეს, რომ ცხონებულს დაუბარებია, ჩემს თანაკლასელებს აუცილებლად დაელოდეთო!..

### მოჭრილად თავის მოჭრაზე

— რამდენვატიანია ეს ნათურა? — იკითხა ვაჟამ.

— ვატისა რა მოგახსენო, მაგრამ თუ თავს მოაჭრი, ზუსტად ნახევარი ლიტრი ჩადის.

— თუ ძმა ხარ, თავის მოჭრას ნულარ მიხსენებ, — შეევედრა ვაჟა, — საქართველოში დღეს ისედაც ბევრმა მოიჭრა თავი.

### ბევრი, ნამდვილად ბევრი!

სუფრაზე, რომელსაც ვაჟა თამადობდა, ვიღაცამ ფეხმსუბუქი ქალბატონის ქება წამოიწყო.

— ბევრი რამა აქვს ნანახი და ბევრი ძალიან ახლოს იცნობსო, — ითქვა ხაზგასმით.

— ნამდვილად ბევრი, ძალიან ბევრი! — დაადასტურა თამადამ.

### მოხრიგინე კუბოები

ვაჟა ყვება: — ისე მოხდა, რომ რამდენიმეჯერ სმა გადავაბი. ერთ დღეს ვბრუნდები შინ და მეუღლემ რომ დაინახა, ისევ ნასვამი ვარ, ქსოვას თავი დაანება და მეუბნება:

— ხო, დღეს კიდევ ხო, მაგრამ ხვალაც რომ ნასვამი მოხვიდე, ვაჟა ჭყონია, დამთავრდა ჩვენს შორის ყველაფერი.

არადა, მეორე დღესაც ნასვამი მივედი. დარიკო სადარბაზოში კართან მხვდება და მეუბნება:

— აქანა დაგიდგი კუბო, აქანა, აქანა!

შევედი შუშაბანდში, ისევ მომყვება და არ ჩერდება:

— ჭყონია, აქანა დაგიდგი კუბო, აქანა...

შევედი საძილე ოთახში და ისევ იძახის, აქანა დაგიდგი კუბო, აქანა...

მოვტრიალდი და ვეუბნები:

— ქალო, რას დაახრიგინებ მაგ კუბოებს აქეთ-იქით, დადგი სადაც გინდა და ჩავწვები შიგ-მეთქი.

### შესვენებაზე

— მე თვითონ წავესწარი, — ყვება ვაჟა, — მეზობლის ცოლი სკამზე დგას და ჭაღს წმენდს. ქმარი ფეხბურთს უყურებს, ცოლი უყვირის:

— კაცო, თუ ჩამოვვარდი, იქნებ შესვენებისას სასწრაფო გამოიძახო?!




### „ზმეიკიანი“ შარვალი

გივი მიზანდარს ერთ საერთო ნაცნობზე ვკითხე, რამდენად საიმედო კაცია-მეთქი.

— ძნელი სათქმელია, — მიპასუხა. — „ზმეიკიან“ შარვალსა ჰგავს, როდის გიღალატებს, ვერ გაიგებ.

### ჩითის კაბა

შემოდგომაა. უკვე საკმაოდ ცივა. მე და ჩემი შვილიშვილი ჩათბუნებულები ვსხედვართ მატარებლის კუპეში.

ერთ-ერთ გაჩერებაზე შემოდის გურული, რომელსაც ჩითისკაბიანი გოგონა ახლავს.

— შენს გოგონას ასე შილიფად რატომ აცვია, არ სცივა? — ვეკითხები ახალშემოსულს.

— მაი ჯერ არასდროს გამთბარა და სიცივე რაია, დღემდე არ იცის!..

### ერთი ცისტერნა რძე

რამდენჯერაც შვილზე გული მოუვიდოდა, იმწამსვე წამოაძახებდა ჩემი მეზობელი:

— წელიწადნახევარი ძუძუს გაწოვებდი, შე უმადურო.

ამოუვიდა შვილს ყელში ამდენი საყვედური და ერთ დღეს ჩვენს სახლს რძით სავსე სამტონიანი ცისტერნა მოადგა. გადმოვიდა ვაჟი და დედას ეუბნება:

— გამოიტანე, რაც ცარიელი ბოცები და ქვაბები გვაქვს და ჩამოისხი, რამდენიც დამახარჯეო.

მას შემდეგ დედისგან დაყვედრებული სიტყვა აღარასდროს გაგვიგონია მეზობლებს.

### კაი კაცი, ყველგან კაი კაცია

კაი ხალხს რა გამოლევს ქუთაისში? — ჰოდა, ორი დიდი ხნის უნახავი კაი კაცი ხვდება ერთმანეთს — ერთი ყოფილი ჩეკისტი, მეორე ყოფილი ფუნქციონერი — მილიციის სამმართველოს ყოფილი უფროსი და ვანის რაიონის ყოფილი პირველი მდივანი. ყოფილი „ამხანაგები“, ამჟამად კი ბატონები, რომლებიც დღესაც მეგობრობენ. სწორედ მათზეა ნათქვამი: „კაცი იყავ კაცური და იქ ილოცე, სადაც გინდა“.

შეხვედრა, პრაშტიპრუშტი (ქუთაისში ასე ვეძახით გადაკოცნას), რესტორანი, ბოლოს კი, გვიან ღამით შეზარხოშებულმა ყოფილმა ჩეკისტმა თანამეინახეს შესთავაზა: წყალტუბოში, „უფროსი ძმების“, რუსების თანამეცხედრეებთან ხომ არ გაგვესეირნაო.

ორივე მაგარი ნასვამია, თანაც რაიკომის ყოფილი მდივანი ასაკოვანიცაა, მაგრამ მაინც გაუყვნენ გზას.

წყალტუბოს შესასვლელთან ნაჩეკისტარი თანამგზავრს მიუბრუნდა:

— უკვე ძალზე გვიანია და ქალებმა კარი რომ არ გაგვიღონ, რა ვქნათ?.

— მე ის მადარდებს, კარები რომ გაგვიღონ, მერე რა ვქნათ? — იყო გულწრფელი პასუხი.

### „ვერტალიოტი“

ორი ნარკომანი მაგარ კაიფშია.

— ნახე, სიმონ, „ვერტალიოტი“ ნახევარ საათზე მეტია ჰაერშია გაჩერებული.

— რა გიკვირს, სიმონ, ალბათ, ბენზინი გოუთავდა.

### რატომ სჭირდება კაცს ოთხი ცოლი?

ჩემს ერთ მეგობარს 3 ცოლი ჰყავდა და მეოთხის მოყვანა გადაწყვიტა. ოჯახში ყველა წინააღმდეგი იყო, მაგრამ დედამ დაუჭირა მხარი.

რატომ?

— ოთხი ცოლი მის კუბოს ჩვენი სახლიდან უკეთ გაიტანსო.

### დისკოთეკის გვერდითი მოვლენა

— ყოველდღე დისკოთეკაზე ნუ დადიხარ, თორემ დაყრუვდები! — ეუბნება დედა თინეიჯერ შვილს.

— მადლობთ, დედა, მე უკვე ვისადილე, — უპასუხა შვილმა.

### ინფორმაცია „კურიერიდან“

— ტყუპი ქალიშვილების მამას კიდევ სამი ტყუპი ქალიშვილი შეეძინა. დედა და ახალშობილი გოგონები თავს კარგად გრძნობენ. ექიმები ყოველ ღონეს ხმარობენ მამის გადასარჩენად. მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

### ფაქტზე ვერ ნაასწრო

— თვალებჩალურჯებული, კბილჩამტვრეული ვანო ქუჩაში მეგობარს შეხვდა.

— რა დაგემართა, ასე ვინ გაგიმეტა? — შეწუხდა მეგობარი.

— ჩემმა უფროსმა ბიჭმა.

— რატომ? — გაუკვირდა მეგობარს.

— დედა შევაგინე და...

— ბეწვზე ხარ გადარჩენილი. კიდევ კარგი ფაქტზე რომ არ წაგასწრო, თორემ უეჭველად მოგკლავდა...

### შავი სათვალე და ყავარჯნები

საფიჩხიელ გენოიას სამი ქალიშვილი ჰყავდა, ზასტაველ კოლას — სამი ვაჟი.

— ჰე ბიჭო, მიშველე რაიმე, მასწავლე ბიჭების გაკეთების ტექნოლოგია. — სთხოვა კოლას გენოიამ.

— მაგაზე უარს როგორ გეტყვი, ჩემო გენოია. კარგად დამიგდე ყური.

გენოია სმენად იქცა.

— შინ რომ მიხვალ, თუ ცოლი დაძინებული დაგიხვდა, ფრთხილად შედი საძილე ოთახში, ფრთხილად გაალვიძე ქალი. გაამზადე სააბაზანო. წყალი კარგად შეამოწმე, რომ ძალიან ცხელი არ იყოს. კარგად დაბანე, გაამშრალე, ლოგინში ჩააწვინე და... ჩემი ტელეფონის ნომერი ქე იცი, დამირეკე, 20 წუთში შენთან გავჩნდები და ჩემზე იყოს დანარჩენი...

მას შემდეგ კოლა სამ თვეს შავი სათვალითა და ყავარჯნებით დადიოდა.

### უძვირფასესი საჩუქარი

ვაჟას მეუღლე, ქალბატონი დარიკო ენაკვიმატობაში ქმარს ტოლს არ უდებს.

რა გასაკვირია? ოქროსა და მით უფრო ბრილიანტის ქორწილამდე ხომ ცოლ-ქმარი ერთმანეთს ბევრი რამით ემსგავსებიან?

გივი მიზანდარმა, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი იყო, 1994 წლის უმძიმეს დღეებში ქუთაისში პრაქტიკაზე სტუდენტები ჩამოიყვანა, მათთან ერთად ბაგრატის ტაძრის ეზოში კარავი დაიდგა და ახალგაზრდებს ქალაქის ხედებისა და ქუთაისის კოლორიტების დახატვა დაავალა.

მომავალმა მხატვრებმა ყველაზე მეტი პორტრეტი ვაჟა ჭყონიასი შექმნეს და თბილისში დაბრუნების წინ მის ოჯახს 12 სურათი უსახსოვრეს.

— ღმერთმა დალოცოს ჩვენი გივი, — ამბობს ქალბატონი დარიკო, — დიდ ხარჯს გადაგვარჩინა — ვაჟას სურათის გადიდებაში ფულის გადახდა აღარ დაგვჭირდება.



„ახალი ქართველების“ ძველბიჭური მანერები.

მურთაზ აბაშიძის ნახატი.

◎ კალათბურთი

# ფანჯარა ევროპაში

როგორც იცით, წლეულს ევროპის ლიგის გათამაშება „გაგრას“ საფეხბურთო კლუბმა დააჭაშნიკა. ამჯერად




„სოხუმის“ დევნილთა საკალათბურთო გუნდის ჯერი დადგა, რომელმაც წარმატებით აღნიშნა ევროჩელენჯზე დებიუტი, სოლიდური უპირატესობით დაამარცხა რა პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში „მინსკი“ — 94:78.

ახალი სეზონის წინ ზღვისპირელთა შემადგენლობა ერთბაშად ოთხი ამერიკელი ლეგიონერით (რობინსონი, პირსი, სალიერსი, გეი) გაძლიერდა და სწორედ მათი ძალისხმევით სძლიეს მასპინძლებმა ბელარუს მეტოქეებს, თუმცა ისიც თვალშისაცემი იყო, რომ მინდია გულუას ნაამაგარ ბიჭებს შეთამაშება აკლდათ. ეს ლოგიკურიცაა — ისინი ხომ ახლახან შეუერთდნენ ახალ პარტნიორებს.

სხვათა შორის, ანალოგიური პრობლემა აქვთ სტუმრებსაც, ამიტომ ძნელია წინასწარ ითქვას, ჯგუფურ ტურნირში მოსახვედრად საკმარისი იქნება თუ არა თბილისში შექმნილი 16-ქულიანი მარაგი.

ყველაფერი 11 ოქტომბერს მინსკში გაირკვევა, სადაც საპასუხო შეხვედრა გაიმართება.

◎ ინტერნეტიდან

## პირველი ნახევარი დასრულდა



ბრაზილიაში დამთავრდა 22-ე კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირის პირველი ნახევარი. ახლა ის სან-პაულუდან ესპანურ ბილბაოში გადაინაცვლებს. შორეულ ბრაზილიაში ამ ტურნირის 5 ტური გაიმართა. 6 ოქტომბერს კი მისი ევროპული ნახევარი მე-6 ტურით განახლდება.

მე-4 ტურში არონიანი დამარცხდა ივანჩუკთან, ვალეხო — ანანდთან, ყაიმზე შეთანხმდნენ კარლსენი და ნაკამურა.

მე-5 ტურში ნაკამურამ დაამარცხა ვალეხო, ივანჩუკმა პარტია დათმო კარლსენთან, დაზავდნენ ანანდი და არონიანი.

ისე რომ სუპერტურნირის ბილბაოს ნახევრის წინ 10 ქულით ლიდერობს ივანჩუკი (ქულების ათვლა საფეხბურთოა!), ნაკამურას 7 ქულა აქვს, 6-6 ქულა აქვთ არონიანს, ანანდსა და კარლსენს, ბოლოს კი ვალეხოა 3 ქულით.

## ლამაზმანი — სექს-ელჩი

სწორედ რომ ასეთი წოდება მოიპოვა „შტუტგარტის“ ნახევარმცველის არტურ ბოკას რჩეულმა. აფრიკელი გერმანიაში ძალზე კომფორტულად მოეწყო, გუნდშიც ძლიერად თამაშობს და სატრფოდაც ძალზე ლამაზი ქალიშვილი აირჩია. თუმცა არტური მაღალი არაა (167 სმ), მაგრამ მოახერხა ევროპის ერთ-ერთ სექსუალურ ლამაზმანის ჯინა-ლიზა ლოხფინკის მოხიბვლა. ისინი, წელიწადზე მეტია, რაც ხვდებიან და სიამოვნებას ვერ მალავენ. ის რომ ქალიშვილს უყვარს პრიალა ჟურნალებისათვის გაშიშვლება, ბოკას სულაც არ ანაღვლებს. ყოველ შემთხვევაში ამის გამო არ უჩხუბიათ.



ამ დღებში ჯინა-ლიზა გამოჩნდა ბერლინში, მე-15 ეროტიკულ ბაზრობაზე, რომელიც ძალზე მიმზიდველია ნიმფო-მანებისთვის და სექსმანიაკებისთვის. თუმცა ლამაზმანი იქ ნამდვილად წესიერად იქცეოდა. როგორც ამბობენ, სექს-ინდუსტრიის ამ გამოფენაზე ლოხფინკი ჩავიდა არა მხოლოდ თავისი მშვენიერი ფორმების გამოსაჩენად, არამედ სოციალური მიზნითაც. ბაზრობის ორგანიზატორებმა მას უსაფრთხო სექსის ელჩის როლი მიანდეს, რაც პრეზერვატივების მწარმოებელი კომპანიებისთვის დიდებული რეკლამაა. იმედია, ჯინა-ლიზა თავის ახალ მისიას გაამართლებს.

◎ დინასტია

**ახლახან ერთ დაფასებულ ოჯახში გამართულ წვეულებაზე სპორტული დინასტიების შესახებ ჩამოვარდა საუბარი.**

**ღვთის მადლით, გასახსენებელი და საამაყო ამ მხრივ მართლაც ბევრი გვაქვს, ამიტომ სუფრის წევრებმა, რომ იტყვიან, გუდას პირი მოხსნეს და თავიანთი კერპების მთელი თანავარსკვლავედი ჩამოთვალეს.**

რომ მეგონა, თემა უკვე ამოწურული იყო, ერთ-ერთმა თანამეინახემ მორიგი სატოპკე აგვიწია და ინგლისში მცხოვრები 14 წლის თანამემამულის შესახებ ჩამოგვიგდო სიტყვა. ბუნებრივია, ყმაწვილი ვუნდერკინდის ვინაობით დავინტერესდი და რაც შევიტყვე, ახლავე მოგახსენებთ.

**თორნიკე თედორაძე** ქალაქ ბარნსლიში ცხოვრობს და ჰულგეითის სკოლის მოსწავლეა. იგი უკვე „შეფილდის არწივების“ 15 წლამდე ასაკის მორაგბეთა ნაკრებში თამაშობს, თანაც როგორ!

როგორც „ბარნსლი ინდეპენდენტი“ იუწყება, ქართველის შთამბეჭდავმა თამაშმა შო ლეინის ჭაბუკებს ახალი სული შთაბერა, ხოლო მისმა ტემპმა და ძალამ იქაური რაგბის ლიგა თვისობრივად განსხვავებულ რელსებზე გადაიყვანა.

სტატიის ავტორი დასძენს, რომ თოკოს კუმირი რაგბის ახალზელანდიელი ცოცხალი ლეგენდა ჯონა ლომუა და, დასასრულს, განსაკუთრებული სითბოთი იხსენებს „ბეითლის ბულდოგების“ წინაალმდეგ ჩატარებული მისი სადებიუტო მატჩის პერიპეტიებს.

როცა უცხოეთში მცხოვრები თვისტომის შესახებ ასეთ სტრიქონებს წაიკითხავ, რა თქმა უნ-




და, მისი ოჯახიც დაგაინტერესებს. ჰოდა, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ცოტათი თავი შევიწუხე და გავარკვიე, რომ მისი მამა სახელოვანი ფალავანი, მორაგბე და წესებს გარეშე ბრძოლის დიდოსტატი თენგიზ თედორაძე ყოფილა.

სიმბოლურია, რომ ლა-მანშს იქით გადაბარგების შემდეგ ეს უნივერსალური სპორტსმენი რაგბის სწორედ იმ კლუბში თამაშობდა, სადაც ამჟამად მისი ვაჟი ბრწყინავს.

მანამდე კი...

**თენგიზ თედორაძე** 1967 წლის 5 ივლისს ბათუმში დაიბადა. ვიდრე ქვეყანა აირეოდა და დედამიწის მეექვსედზე გადაჭიმული ზესახელმწიფო დაინგრეოდა, საკმაოდ ბევრი რამის მოპოვება მოასწრო ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (90 და 100 კგ): გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1990) და მესამე პრიზიორი (1987), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1985, 1986), საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

მისი ტალანტი არც მაშინ ჩამქრალა, როცა დამოუკიდებლო-

## მამის კვალზე

ბის ბილიკზე შემდგარ სამშობლოში სანთლის შუქზე, გაყინულ დარბაზში მოუწია ვარჯიშის გაგრძელება და 1993 წლის სეზონში მკერდი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების ბრინჯაოს მედლებით დაიმშვენა.

ალსანიშნავია, რომ ხალიჩასთან დამშვიდობების შემდეგ ფიზიკურად და სულიერად უძლიერეს ვაჟკაცს გარკვეული პერიოდის განმავლობაში აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტის პირადი მცველობაც ანდეს, დანარჩენზე კი თვითონ გვიამბობს.

— სხვათა შორის, ვიდრე სამშობლოს დავტოვებდი, ბათუმის „დათვებში“ რაგბის ვთამაშობდი და მასთან ერთად სამჯერ საქართველოს ჩემპიონობითაც გავიხარე. რაც შეეხება ბრიტანეთს, აქ ჩამოსვლაში საქართველოს სამბოს ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტი ნოდარ ექვთიმიშვილი დამეხმარა, რომელმაც საჭირო ხალხთან დამაკავშირა. კონდიციების შესანარჩუნებლად ბარნსლის გუნდში ჩავირიცხე, სადაც მეორე ხაზის მოთამაშე ვიყავი, 5 ნომერი. ალბათ, გაცილებით უკეთეს კლუბში გადავიდოდი, რომ არა უსიამოვნო ფაქტი: ჩხუბის გამო ზედიზედ სამ შეხვედრაში დამსაჯეს დისკვალიფიკაციით, რის გამოც თითქმის გაჩარხული კონტრაქტი ახალ გუნდთან ხელმოუწერელი დამრჩა — ჩვენ მოთამაშეები გვინდა და არა მოჩხუბრებიო.

გაჭირვების ტალკვესად ისევ ნოდარ ექვთიმიშვილი მომევლინა, რომელმაც რამდენიმე დღეში რინგზე გადანაცვლება შემომთავაზა — ბრძოლა წესების გარეშე მაშინ ახალი ხილი იყო.

თავიდან ალღოს აღება გამიჭირდა და მოგებებს წაგებებს ვუნაცვლებდი, მაგრამ საბოლოოდ ეს მაინც შევძელი, ზედიზედ თორმეტი მოწინააღმდეგე დავამარცხე და მძიმე წონაში სამჯერ გავხდი ინგლისის ჩემპიონი, თანაც ისე, რომ დიდი ქამრისთვის გამართული არცერთი ბრძოლა არ წამიგია. პარალელურად ჩემი მეგობრის მიერ გახსნილ დარბაზში 50-მდე ბავშვსაც ვავარჯიშებ. მათგან ერთი — 13 წლის ბიჭი ძალიან პერსპექტიულად მესახება, რადგან მასზე უფროსებსაც კი ტოლს არ უდებს და თუ პირველივე წარმატებები თავში არ აუვარდება, უდიდეს მწვერვალებს დაიპყრობს.

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და ერთ ჭორსაც შევეხები: რატომღაც მიაჩნიათ, რომ წესების გარეშე ბრძოლა დადგმული სანახაობაა. ნურას უკაცრავად! შოუ რომ ჰქვია, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შედეგი წინასწარაა დაგეგმილი. ვიმეორებ: ჩვენთან ჩაწყობა გამორიცხულია.

საგულისხმოა ჩვენი სახეობის ეროვნული შემადგენლობაც — ყველაზე მეტნი ბრაზილიელები, ამერიკელები, ინგლისელები, კანადელები და რუსები არიან. რადგან ჩრდილოელი მეზობლები ვახსენე, დავძენ, რომ სპორტი პოლიტიკას არასდროს არ უნდა დავუკავშიროთ. პირადად მე ორი რუსი სპორტსმენი მყავს დამარცხებული და მათთან კიდევ ერთხელ ჩხუბს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი რუსები არიან, არ ვაპირებ. ორივე ჩემი მეგობარია. რაც შეეხებათ რუს პოლიტიკოსებს, მედვედევსა და პუტინს რვაკუთხედში სიამოვნებით შევხვდებოდი.

* * *

**ეს წერილი უმარილო იქნება, ამ ოჯახის კიდევ ერთ ღირსეულ წევრს, თორნიკეს ბაბუას — ჭარმაგ პიროვნებას, ბატონ ჟორჟი ფრანგიშვილს თუ არ მოვეფერებით. თვალწარმტაც მეგრულ სოფელ მარანში დაფრთიანებული ფალავანი, კლასიკურ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონი რომ გახდა, შემდეგ ძალოსნობაში შედეგიანად ცდიდა ძალებს.**

**ეტყობა, გენეტიკასაც უნდა ვუმადლოდეთ, რომ მისი მონაგარი ასე სასახელოდ განაგრძობს ძველი გვარდიის მიერ დაწყებულ ტრადიციებს. ვიმედოვნებთ, რომ წინ კიდევ მრავალი წარმატებაა.**



# TOKO, SON OF TENGIZ, SIGNS FOR EAGLES

**THE son of Barnsley-based Georgian cage-fighter Tengiz Tedoradze is set to make his own strides into the world of sport.**

Holgate School pupil Toko Tedoradze has just been selected for the Sheffield Eagles Academy under 15s.

The 14-year-old has come through the youth system at Barnsley RUFC where his father used to play before taking up cage-fighting full time.

Toko's impressive performances for the Shaw Lane youngsters led to a trial in Sheffield where he impressed with his pace and power and was encouraged to switch codes to rugby league.

He played his first game for the Eagles at prop last weekend against Batley Bulldogs.

He hopes to play professionally and be as good as his hero Jonah Lomu.

Tengiz Tedoradze moved from his homeland of Georgia to Barnsley in the 1990s after working as a bodyguard for the Eastern European country's president. He has had 34 fights.

Signed up: Toko Tedoradze. (S)

◎ მოლაპარაკება

# ვერ მორიგდნენ

თუმცა ერთი კვირის მანძილზე ორჯერ შეხვდნენ ნბა-ს კლუბების მფლობელები და მოთამაშეთა პროფკავშირების წარმომადგენლები კოლექტიური შეთანხმების საკითხებზე, მათგან პირველი შეხვედრა 7 საათს გაგრძელდა, მაგრამ კომპრომისს ვერ მიაღწიეს.

შეგახსენებთ, რომ ნბა-ს ჩემპიონატი წესით 1 ნოემბერს უნდა დაიწყოს, ლოკაუტი კი 1 ივლისს დაიწყო და მხარეები დღემდე ვერ მორიგდნენ.

„ჯერჯერობით ჩვენს შორის საკმაოდ დიდი უფსკრულია, — უთქვამს პირველი შეხვედრის შემდეგ ნბა-ს აღმასრულებელ დირექტორ ბილ-ჰანტერს, — არ ვიცი, მივაღწევთ თუ არა კომპრომისს“.

ნბა-ს კომისარს დევიდ სტერნს კი ალუნიშნავს, რომ იმედროვნებდნენ შეთანხმების მიღწევას. მაგრამ მოთამაშეებმა შემოგვთავაზეს კვლავ მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა და ჩვენც დავთანხმდითო.

მოლაპარაკების მორიგი რაუნდი ორშაბათს გაიმართა, მაგრამ მაინც ვერ მივიდნენ კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე. ახალი შეხვედრის დრო კი ალარ დაუთქვამთ. კალათბურთელთა წინასასეზონო მზადების დანარჩენი ნაწილი აღარ გაგრძელდება და იმის შანსი, რომ სეზონი დათქმულ დროს, 1 ნოემბერს დაიწყება, პრაქტიკულად აღარ დარჩა.

ამ შეხვედრის შემდეგ დევიდ სტერნს განუცხადებია: „ჩვენ ვერა და ვერ დავინახეთ, რომ მოთამაშეები მზად არიან ჩვენთან მოსალაპარაკებლად. ამიტომ აზრი აღარ აქვს მოლაპარაკებათა პროცესის განახლებას. თუ არაფერი შეიცვლება, შემდეგ ორშაბათს ოფიციალურად გამოცხადდება რეგულარული ჩემპიონატის პირველი ორი კვირის მატჩების გადადების თაობაზე“. მოთამაშეთა პროფკავშირის თავკაცმა დერეკ ფიშერმა კი აღიარა, რომ მხარეები კომპრომისამდეც ვერ მივიდნენ კი არა, არც კი მიახლოვებიან მას.

შეგახსენებთ, რომ კალათბურთელები მოითხოვენ ხელფასის დონის გაზრდას, კლუბების მფლობელებს კი უნდათ მომავალ სეზონში ხელფასის 5 პროცენ-



ტით შემცირება, 2012-2013 წლების სეზონში — 7 პროცენტით, შემდეგ კი — 10 პროცენტით.

## ფასადს მიღმა

სხვისი რა მოგახსენოთ, მე კი ყოველი, აგრე გახშირებული და „გაეხოებული" საზღვარგარეთული ვოიაჟი ჩვენი „პიარანდედით" მოსილი პრეზიდენტისა, უსრულფასოვნების კომპლექსს მიჩენს: ასე ვაშა-ტაშით, ხოტბაქებით რომ ხვდებიან და იმისგან უკუღმართულად მართულ ქვეყანას მოწინავეთა რიგებში აყენებენ, მე რა ღმერთი მიწყრება, რომ ამ ჩემი დასავსები თვალებით, თუნდაც ნაკატარაქტალ-ნაოპერაციევით, ვერც მიხეილბატონის სიდიადეს ვხედავ (სიმაღლისაგან განსხვავებით) და ვერც იმისგან მართული, შემორჩენილი სრულიად საქართველოს მოწინავეობას-მეთქი...

ქება-დიდება არც ახლახან დასრულებულ ვარშავის სამიტზე დაგვაკლებია: თურმე საქართველოს ეკონომიკა სწრაფი ტემპით ვითარდება (მდგრადი განვითარების პარალელურად), თურმე რეფორმები წარმატებით ტარდება, თურმე დემოკრატიის გზას მტკიცედ ვადგავართ... იყო მიხეილ სააკაშ-

## როდემდე ეს დაბოლება-გაბითურება?..

ვილის ერთი ინტერვიუობანა თუ პოლონური პრესის ფურცლებზე, თუ იქაურ ტელეეკრანზე. განმეორდა, ისე რაც ხდება ხოლმე საქართველოს პრეზიდენტის ყოველი უცხოური მივლინების დროს.

ამის ყოფა ვატირე, მსოფლიოს ამდენ სახელმწიფოს რომ ჰყავს თავისი საელჩო თუ წარმომადგენლობა თბილისში (ჯერ კიდევ დედაქალაქში) — ისინი მაინც ვერ ხედავენ, რა დღეშიცაა ქვეყანა, ხალხი, მოსახლეობა? იმათ მაინც არ იციან, რაც ხდება დაგებული გზების, აგებული შენობების, გახსნილი ბულვარების, „ამობახჩისარაისებული" შადრევნების, გამართული კონცერტ-ფესტივალების წიაღ? თუ ხედავენ და თუ იციან, ჭეშმარიტ სიმართლეს რატომ არ აცნობებენ, არ აცნობენ თავიანთ პრეზიდენტებს, კანცლერებს, პრემიერებს, მინისტრებს, რომლებიც ასე თვალმოწყალედ, ღიმილმოწყალედ, გულმოწყალედ, ხელებმოწყალედ ხვდებიან ამდენი საძრახისი, სამარცხვინო საქმის ჩამდენ პირველ პირს ტერიტორიებჩამოჭრილი, დაბეჩავებული, ეროვნებადაკარგული, განქართულებული, მდგომარეობაგართულებული სრულიად საქართველოსი? ყელამდე და ყელს ზემოთაც ვალებში ჩაფლული გასაცოდავებული ქვეყნისა?

„თქვენ დიდ წარმატებებს მიაღწიეთ", „თქვენ სამაგალითო რეფორმები განახორციელეთ", „თქვენი ეკონომიკა წინ მიიწევს", „თქვენ ახალ დემოკრატიას აშენებთ", „თქვენ სწორი გზით მიდიხართ" — ისე სწორი მოგეცათ და ისემც ღმერთი შეგეწიოთ, როგორც მაგას სიმართლეს ამბობთ, მსოფლიოს პოლიტიკურო ლიდერებო... მომიტევეთ დედაკაცური წყევლა...

მე უბრალოდ, პრიმიტიულად შეგედავებით დებატებსა თუ დისკუსიებში გამოწვრთნილ-გამოწრთობილო ძლიერნო ამა პლანეტისა, ჩვენი გაპასიურებული, გაგულგრილებული, ხელებჩაქნეული საზოგადოების რიგითი წევრის ენაპირით გიპასუხებთ, ჩემი „სამრეკლოდან" გამოგეხმაურებით:

კომუნალური გადასახადი თვეში 14 ლარი რომ მიწევდა და ახლა, „კომუნალური ცხოვრების" აბსოლუტურად შეუცვლელად, 20 ლარი გამიხდა; ჩემს დუშელ მემაწვნეს აქვე სათქმელად, საუცხოო მაწვნის დამყენებელ ქალბატონს, ქილა რომ აქამდე 70 თეთრად მოჰქონდა და ახლა 1 ლარი გახადა, „სოფლურ" კვერცხს რომ 40 თეთრად გაძლევდა და 50-ზე აიყვანა; არქივიდან ერთი დოკუმენტის ამოწევა რომ 50 ლარი ჯდება; მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა რომ ასე გაძვირდა; საბავშვო ბაღებში ნორჩთა შეყვანა და „გაჩერება", სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-სწავლება რომ აგრე ძვირი ღირს; ყურის გამორეცხვაში (ერთი წუთი რაც გრძელდება) რომ 12 ლარს, საავადმყოფოში 24-საათიან ყოფნაში რომ 600 ლარს გახდევინებენ; კილოგრამ ხორცს რომ მოსახარშად თუ შესაწვავად, ანუ საჩანგლედ ვერ წაეკარები; გაქანებულ შემოდგომაზე რომ ხილის ასეთი სიძვირეა — ესაა ეკონომიკის სწრაფი, თუ გნებავთ, მდგრადი განვითარება და ესაა წარმატებული რეფორმები? თქვე დალოცვილებო, უმუშევრობას მაინც შეუფარდეთ ეგ ეპითეტები — სწრაფი და მდგრადი ზრდა...

მერე კიდევ — აქ, ჩვენში, საქართველოში, თბილისი იქნება, ქუთაისი, გლდანი თუ ქსანი, — მიტინგებს რომ არბევენ, თან ადამიანებს რომ ხოცავენ, გაფიცულებს რომ აპატიმრებენ, ტუსაღებს რომ ულმერთოდ აწამებენ, მაღალჩინოსნები რომ დევნილებს არ ხვდებიან, სასამართლო რომ არსად არ სასამართლოობს, — ეს არის დემოკრატია და დემოკრატიულობა?

ბატონო საზღვარგარეთელნო, მისტერებო, მისისებო, მისებო, სერებო და სხვა ბევრნაირებო — როდის უნდა გაახილოთ „ფართოდ" დახუჭული თვალები, როდემდე უნდა გვაბოლოთ საბრალო საქართველოელებს, აღარ მოგწყინდათ ჩვენი გაბითურება? როდისღა აპირებთ მიხეილ სააკაშვილის შეხედვა-დანახვას ისეთისას, როგორიც სინამდვილეში ბრძანდება? ის ხომ არ გიშლით ხელს, რომ რაც არის, ორი იმსიგრძე მიწაშია?..



მალე გახდებით ევროკავშირის წევრიო — თქვენი ერთ-ერთი მობოლება ესეც გახლავთ; არ ვიცი, როდის იქნება საქართველო ევროკავშირის ასოცირებული წევრი, მაგრამ ვიცი, რომ მე დიდი ხანია ვარ „ასოცირებული"... ანდაზებთან და ლიტერატურულ თუ სხვა პასაჟებთან; ვარ და თქვენზე ზედგამოჭრილი მგონია „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო", ან „მელაკუდამ ტაში დაჰკრა, ამფერ ჩემო დათუნაო", ან „მოვუწონებთ, ეამება, გაბრიყვდება ამ ქებითო და ჩვენ კი რა გვენაღვლება, ვახშმადაც აქ დავრჩებითო"; ფიცი რაა და ბოლო — რა, ვინ მელაკუდაა და ვინ დათუნა — ეგ თქვენ თავად გაარკვიეთ, მე ხომ ჩემი გითხარით...

იმ ჩემი „როდემდე" შეკითხვით ერადერთ ბატონ-პატრონსაც უნდა მივმართო: როდემდე უნდა გვაბითურონ და გვაშაყირონ დიდად პატივცემულმა და პატივნაცემმა უცხოელებმა, ოხ, როდემდე, როდემდე? ჩემო საყვარელო მიშამწყრალო, მომეც ამის პასუხი...

**ბერდია ბედოიძე**

ხსოვნა

# ანდრო (ადული) გვაზავა

კაცი, რომელიც დააკლდა ყველას! ანდრო (ადული) გვაზავა. ჭეშმარიტი მამულიშვილი, დახვეწილი ინტელიგენტი, ქართული ტრადიციის ერთგული, ქრისტიანული სულით აღზრდილი.

ბატონმა ანდრომ პიროვნული სილამაზით გამორჩეული ცხოვრების წესით ღირსეულად ატარა ქართველი კაცის სახელი.

ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილს სიცოცხლის ბოლომდე შერჩა სინდისის, პატიოსნების, კაცთმოყვარეობის, წესრიგისა და პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობა.



ანდრო გვაზავა დაიბადა 1946 წელს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. მამა — სერგო გვაზავა, რესპუბლიკაში ცნობილი, მაღალი რანგის იურისტი, წლების მანძილზე მუშაობდა შს ორგანოებში პასუხსაგებ თანამდებობებზე. დედა — მარგალიტა ხოშტარია იყო ექიმი.

ანდრო მასის კვალს გაჰყვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამართალდამცავ ორგანოებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. იყო ლანჩხუთის იმდროინდელი მილიციის უფროსი, ბოლო წლებში კი — საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსი.

სადაც კი იმუშავა და იმოღვაწა ბატონმა ანდრომ, ყველგან დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იყო თავისი საქმის ღრმა მცოდნე და პროფესიონალი.

ძნელია მოიძებნოს მასზე უკმაყოფილო კაცი, არც თვითონ იცოდა ვინმეზე განაწყენება.

ბრწყინვალე მჭევრმეტყველი, განსწავლული, მწიგნობარი, მისაბაძი კაცი, წმინდა, დახვეწილი, ჭეშმარიტი კაცობის ყალიბში ჩამოსხმული პიროვნება. ის ბუნებამ დააჯილდოვა ხალასი და ძლიერი სულით, უმაღლესი ზნეობით. მისგან შორს იყო მოჩვენებითობა, ფარისევლობა.

დიდი იმედი და საყრდენი გამოეცალა ოჯახს, სანათესაოს, სამეგობროს. პირღიმილიანი ხვდებოდა ყველას, გულღიად უღებდა სახლის კარებს. არ ღალატობდა მშობლების მიერ დანერგილ ტრადიციას — ცხოვრების გასაგრძელებლად რაიონიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს უშურველად ეხმარებოდა. არაერთხელ გაუმართავს მათთვის ხელი, რაშიც დიდი წვლილი მის მეუღლეს, უკეთილშობილეს ქალბატონს, ექიმ ლალი გეგენავასაც მიუძღვის.

თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს ბატონ ანდროს უსაზღვროდ უყვარდა აბაშა და აბაშელები მისი ფესვი და ძირი ხომ აბაშაში იყო. ბავშვობისა და ყმაწვილობის წლები აბაშაში, სოფელ ნორიოსა და სახოშტარიოში ჰქონდა გატარებული. აბაშელებთან შეხვედრით ყოველთვის დიდ სიხარულსა და სიამოვნებას განიცდიდა. იყო საზოგადოება „აბაშელის" უცვლელი წევრი.

ბატონ ანდროს დიდი ტკივილი იყო მისი ერთადერთი დის დალის ნაადრევად დაკარგვა. უმშვენიერესი, უნიჭიერესი პიროვნება, რომ დასცლოდა მისი სახით ქვეყანას დიდი მეცნიერი ეყოლებოდა.

ბატონი ანდრო ღირსეული ოჯახის ღირსეული წინამძღოლი იყო. მზრუნველი, მოსიყვარულე ერთგული მეუღლე, მამა და ბაბუა.

ტკბილი მოსაგონარი დაუტოვა მეუღლეს, შვილებს ეკას და გეგას, რძალს, სიძეს, რომლებიც თავს არ ზოგავდნენ, რომ სიცოცხლე გაეხანგრძლივებინათ ძვირფასი ადამიანისათვის. შვილიშვილებს მუდამ ემახსოვრებათ მოამაგე ბაბუა. სანათესაოს, საახლობლოს არასოდეს დაავიწყდებათ მისი სიკეთე და სიქველე.

ადამიანი ერთხელ იბადება, და ერთხელ კვდება, მაგრამ როგორ იცხოვრა ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, სიკვდილი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ადამიანს.

ზღვა ხალხი ეთხოვებოდა ბატონ ანდროს, ცრემლებით, სინანულით აღსავსე თვალებით გააცილეს უკანასკნელ გზაზე. იშვიათია კაცი, რომელიც ასე დამსახურებული, ვალმოხდილი, სრულყოფილი, რომ წავიდა ამ ქვეყნიდან.

ცხოვრება გრძელდება, იცვლება ყველაფერი, მაგრამ სამუდამოდ დარჩება ანდრო გვაზავას სახელი მისი ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების გულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს და მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს მის ლამაზ და სპეტაკ სულს.

ამინ!

**სანათესაო და სამეგობრო**

ხსოვნა

# გივი ქანთარია



გარდაიცვალა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი, ფიზიკის თანამედროვე პრობლემების ღრმა მკვლევარი, უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ფაკულტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი დეკანი 1963-71 წლებში, მრავალი ორდენით, მედლითა და სახელმწიფო და საუნივერსიტეტო პრემიებით დაჯილდოებული, პროფესორი გივი ქანთარია.

გივი ქანთარია დაიბადა ქ.თბილისში 1925 წლის 23 მარტს. 1942 წელს დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საცდელ-საჩვენებელი სკოლა. 1942-46 წლებში მონაწილეობდა სამამულო ომში. 1948-53 წლებში სწავლობდა თსუ ფიზიკის ფაკულტეტზე. 1959 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1974 წ. — სადოქტორო დისერტაციები. მისი სამეცნიერო შრომები ეძღვნება დაჯახებათა თეორიის მათემატიკური საფუძვლების შექმნას, ვარიაციული მეთოდების ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში გამოყენებას, რეაქტიული თვითმფრინავების ტელემეტრიული გამოცდების ჩატარების ორგანიზაციას, მართვის პროცესებში ოპტიმალური არჩევის გადაწყვეტის პრობლემატიკას. ასევე აღსანიშნავია დიფერენციალური გეომეტრიის და ფსევდოკომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენებით კვანტური ველის თეორიის საფუძვლების აგება.

გივი ქანთარიას მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ნაწილია სამწერლო ასპარეზი. იგი ავტორია მრავალი შესანიშნავი მოთხრობისა და რომანისა — „კორნელია". ეს უკანასკნელი გამოცემულია 2005 წელს და მკითხველთა და სპეციალისტთა აღიარებაც მოიპოვა.

გივი ქანთარიას მოქალაქეობრივი ქცევა ეტალონური ხასიათის მატარებელია და მისაბაძი ქართველი ახალგაზრდობისათვის. მისი კრედო გახლდათ „სიყვარული, რომელიც აგვამაღლებს", იყო მოკრძალებისა და მეცნიერებისადმი ერთგულების სიმბოლო.

**თანაკურსელების, მეგობრებისა და კოლეგების სახელით**

ჟუჟუნა ნიჟარაძე; გივი ნიკობაძე; რაფიელ ჩიძოვანი; დიმიტრი ხულელიძე; თენგიზ სანაძე; ჯუმბერ ხაჩიძე; თამაზ ებანოიძე; რაფიელ კაზაროვი; ბიჭიკო ცინცაძე; თამაზ ვაშაყმაძე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის ძმა

**ვახტანგ მუსხელიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

**განცხადება**

სს „ელექტრონიკა-94"-ი 2011 წლის 5 ნოემბერს 16 საათზე კ. გამსახურდიას №14-ში ატარებს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას.

დღის წესრიგი:

ზოგიერთი საკითხების განხილვა.

მომხს: სს „ელექტრონიკა-94"-ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ციხელაშვილი.

**განცხადება**

ამხანაგობა „ისნის სავანე" ს.კ. 206287917 იწვევს ამხანაგობის წევრთა რიგგარეშე საერთო კრებას (მის: დოდაშვილის №18, 2011.10.15. 12 სთ-ზე). დღის წესრიგი: ამხანაგობის საქმიანობის შესახებ ამხანაგობის წევრთათვის ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებით ანგარიშის ჩაბარება და ამხანაგობის სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრა.

ამხანაგობის თავმჯდომარე მ. შპორტი 599 216 214, 568-221-952.

**განცხადება**

შპს „ბიზნეს ცენტრი სასტუმრო რუსთავის" დირექტორი მალხაზ ალბორაშვილი იწვევს საზოგადოების პარტნიორთა კრებას შემდეგი დღის წესრიგით: 1. უძრავი ქონების შეძენა; 2. საორგანიზაციო საკითხები. კრება ჩატარდება 2011 წლის 14 ოქტომბერს, 12 საათზე საზოგადოების იურიდიულ მისამართზე, ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზირი №32.

## დაიჯესტი

### თითოეული ჩვენგანი, ტოტალიზატორში გამარჯვებული...

„... შემთხვევითობა – ესაა ცვლილებათა საფუძველი და ღვთაებრივის ჭურჭელი. ლატარიის პრინციპი – ეს, დაწყებული 70 მილიონი სპერ-



მატოზოიდიდან ერთ-ერთიდან ჩასახვით, ადამიანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტია. ჩვენ, ყველანი, ცხოვრებაში ერთგვარ ტოტალიზატორში გამარჯვებულის სტატუსით შევდივართ, რომელშიც მოთამაშეთა ასტრონომიული რიცხვი მონაწილეობდა... შემთხვევითობა არა მარტო წარმოქმნის ადამიანის ბედის ცენტრალურ ღერძს, არამედ ასევე გონიერებისა და ზნეობრიობის უდიდესი წყაროა. იმისათვის, რომ ევოლუციის გზაზე პირველი ნაბიჯი გადავდგათ, საჭიროა აზრთა ისეთ ვითარებაში მოქცევა, სადაც ისინი ლაღად ინავარდებდნენ...“

(დევიდ ჰილდერი წიგნიდან „სიმდიდრე და სიღარიბე“).

### წინასწარმეტყველებს... დანაყული მუხუდო

მიწისძვრამდე რამდენიმე დღით ადრე ცხოველებს განგაშის ნიშნები ეტყობათ: სპილოები ჯუნგლებში მიდიან, გველები სოროებიდან ამოდიან, ზვიგენები ნაპირებს ასკდებიან, მინდვრის თაგვები გუნდებად იკრიბებიან, ზაზუნები „ცეკვებს“ იწყებენ, ფრინველებიც როკავენ...

ნიანგების ქცევა კი იმდენად ინფორმატიულია, რომ ქალაქ ჰიგასიიძუში იაპონელებმა საგანგებო ფერმაც კი შექმნეს მათ მოსაშენებლად.

მაგრამ საქმე ისაა, რომ ბუნებრივ კატაკლიზმებს მხოლოდ ველური ცხოველები წინასწარმეტყველებენ, რომლებზეც დაკვირვება ადამიანს, უკეთეს შემთხვევაში, შეზღუდულად შეუძლია. შინაურ ცხოველთა, ანდა ზოოპარკებში მცხოვრებ ცხოველთა მოქცევა კი კარნახად ველარ მიიღება. მაგრამ, მთავარი მაინც ისაა, რომ მომავალი მიწისძვრის თაობაზე განგაშის შანსს სეისმოსახიფათო რეგიონების მცხოვრებნი პროფესიონალი სეისმოლოგებისგან ელიან, თუმცა 65 პროცენტის ალბათობით გაკეთებული პროგნოზი გეოფიზიკოსებში უკვე მნიშვნელოვან წარმატებად ითვლება.



ალ-ფარაბის სახელობის ყაზახეთის ეროვნული უნივერსიტეტის ბიოფიზიკური ეკოლოგიის ცენტრის დირექტორის, პროფესორ ვიქტორ ინიუშინის ცდებით კი დამტკიცდა, რომ მიწისძვრების პროგნოზირების უნარი... ცოცხალ მატერიას გააჩნია. რამდენიმე ათწლეულია იგი წინასწარმეტყველებს ბიომასისგან – დანაყული მუხუდოსგან, მუხის რკოსგან, შვრიის თესლისგან, ბაქტერიების კოლონიებისგან და სოკოს სპორებისგან მიღებული ელექტროსიგნალების მეშვეობით. მიწისძვრამდე რამდენიმე დღე-ღამით ადრე იგი ელექტროგრამებზე მკვეთრ რყევებს აფიქსირებს. ინიუშინის პროგნოზების სიზუსტე 95 პროცენტს (!) შეადგენს, მიწისძვრის კერის ზუსტი ადგილის დასადგენად კი მინიმუმ სივრცეში განთავსებული ორი ბიოალმრიცხველიც კმარა!

### მომღერალი გიბონები

მაიმუნებს... სიმღერა ყვარებიათ! ამ ცოტა ხნის წინათ ცნობილი გახდა, რომ ორანგუტანგები, ზოგჯერ, რაღაცას ღიღინებენ!

ახლახან კი მეცნიერებმა შეიტყეს, რომ გიბონებიც მღერიან, თან როგორ! ფრანგმა მეცნიერებმა ფირზე ზრდასრული და მოზარდი გიბონების



90 სიმღერა ჩაიწერეს. აღმოჩნდა, რომ მათ სიმღერებში 10-დან 90-მდე კუპლეტია, რომელთაგან თითოეული 3-4 ელემენტისგან შედგება. მათ შორის, ბევრი სიმღერა თავისებურ „იმპროვიზაციას“ შეიცავს, მაგრამ ეს ჩართვები მხოლოდ მეთექვსმეტე კუპლეტის შემდეგ „ჯდება“. მკვლევარები აცხადებენ, რომ მოზარდი გიბონი ზრდასრულზე უფრო „სუსტია“ „ვოკალის მხრივ“. გიბონების წყვილები კი „დუეტში“ ზოგჯერ 20 წუთსაც მღერიან და, როგორც მკვლევარები ფიქრობენ, ამ დროს ერთმანეთს რაღაც ინფორმაციებს უზიარებენ.

### ცოლის ისევ საკუთარ სახლში მოყვანა სჯობს

იემენის პროვინცია მაჰრაში ცოლის შერთვის შემდეგ მამაკაცი საცხოვრებლად მისი მშობლების სახლში გადადის. ამასთან, მეტად გულსატკენი და საწყენი უნდა იყოს ის ამბავი, რომ თუკი ქორწინება გაყრით დასრულდება, ქმარი ვალდებულია ხმის ამოუღებლად ცოლის ოჯახი დატოვოს, თანაც ერთობლივი ცხოვრების მანძილზე დაგროვილი მთელი ქონება (რომელიც, ფაქტობრივად, მისი შრომითაა შეძენილი) ცოლს უნდა დაუტოვოს.

## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● დაინახავთ თუ არა მამაკაცს უჯრულა კილტში, ტყავის საფულით – წელზე, სქელი შალის მაღალყელიან წინდებში, მაშინვე მიხვდებით, რომ ის შოტლანდიელია, მაგრამ მთავარია ჰეროლდი, გერბებისა და კლანების. ამას გარდა, ფერებისა და უჯრების შეხამება ზუსტად მიგითითებთ, რომელ კლანს და გვარს მიეკუთვნება.

● XV-XVI საუკუნეებში საომარი მოქმედებების დროს პერიოდულად ცხადდებოდა ხოლმე ეგრეთ წოდებული „მაქმანური ზავი“ ტანსაცმლის გასარეცხად, რადგან იმ დროს მაქმანი სამხედრო ფორმის ნაწილი იყო.

● თურქების, კოპტებისა და არაბების სახლის ნახევარს, ტრადიციულად, დივანი – მამაკაცთა სამყოფელი იკავებდა, ხოლო სახლის მეორე ნახევარი კი ჰარემს – ქალთა სამყოფელს წარმოადგენდა.

● ძველად აღმოსავლეთ მომთაბარე ხალხს განსაკუთრებული საზეიმო შემთხვევებისათვის, მაგალითად, სტუმრების მისაღებად, დღესასწაულებისათვის 100 კაცისთვის გათვალისწინებულ დიდ იურთას დგამდნენ, რომლის შესასვლელი და სვეტები ოქროთი იყო მოპირკეთებული და მას „ოქროს ურდო“ ერქვა, რაც შემდეგ ამ ხალხის მიერ შექმნილ სახელმწიფოს დაერქვა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

**განცხადება**

კომპანიას ესაჭიროება უძრავი ქონების მართვის მენეჯერი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს ამ სფეროში მუშაობის გამოცდილება
ტელ: 5 99 510 285

კომპანია აცხადებს კონკურსს დირექტორის თანამდებობაზე. სავალდებულო მოთხოვნებია – უმაღლესი განათლება, ვაჭრობის სფეროში მენეჯერად მუშაობის მინიმალური გამოცდილება და კომპიუტერის ცოდნა.
ტელ: 5 99 510 285.

**განცხადება**

ვიმუშავებ ძიძად სკოლის ასაკის ბავშვთან, შევასწავლი ინგლისურს და სხვა საგნებს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

მოვუვლი მოხუცებულს, შევასრულებ ექთნის მოვალეობას და საოჯახო საქმეს.
ტელ: 239-30-05, 593 660-226. მარინა

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

ექიმი ეუბნება მიხოს:
– თქვენ დაგენიშნათ მკაცრი დიეტა.
– ეგ როგორ, ექიმო, ჭამამდე თუ ჭამის შემდეგ?

* * *

სვანი შინ გაბრაზებული დაბრუნდა და მამამისს ეუბნება:
– მამი, მანქანა მომპარეს.
– მერე, რა ქენი, პოლიციას შეატყობინე? – ჰკითხა მამამ.
– ჯერ არა, მაგრამ მანქანის ნომერი კი ჩავიწერე.

* * *

ბიჭუნა მამას ეხვეწება:
– მამიკო დახუჭე თვალები!
– რატომ? – ეკითხება მამა.
– დედა ამბობს, როცა მამაშენი თვალებს დახუჭავს, ჩვენი ცხოვრება საამური გახდებაო.

* * *

ჭიჭიკია ძმაკაცს უყვება:
– რა კარგი რამე ყოფილა ეს ჯგუფური სექსი.
– მაინც რა მოგეწონა, – ეკითხება ძმაკაცი.
– ისე გამევიპარე, კაციშვილმა ვერ დამინახა.



* * *

კახელი ცოლს ურეკავს:
– ამაღამ ვერ ჩამოვალ, დაიძინე.
– შენ კი მომიკვდი, სინათლე არ არის და როგორღა დავიძინო?
– შე ჩემა, მე რომ ჩამოვიდე, რა გაგინათებენ?

* * *

– მამი, კართან ვიღაცა ქალი დგას, – ეუბნება შვილი მამას.
– რა უნდა? – კითხულობს მამა.
– რა უნდა და, შემოწირულობას აგროვებს აუზის ასაშენებლად და რა მივცე?
– რა მისცე და სამი ვედრო წყალი და ბებიაშენის კუპალნიკი.

* * *

შოუბიზნესის ქართველი ვარსკვლავი შვილს აძინებს და იავნანას უმღერის. ბავშვმა თვალები გაახილა და დედას ეუბნება:
– დედი, მაგრად მღერი, მაგრამ დამაძინე, რა!

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24